ახალი განათლება

15 - 21 სექტემბერი

ფასი 1 ლარი 70 თეთრი

№26 (740) გამოდის 1998 წლიდან

www.axaliganatleba.ge

გვერდი 3

* * *

სქემის ის ნაწილი, რომელიც შეიცავდა (არ მინდა ამ სიტყვის თქმა, მაგრამ მაინც გამოვიყენებ) მუქარას, რომ მასწავლებელს შეიძლება სამ წელიწადში სამსახური დაეტოვებინა, უახლოეს პერიოდში გაქრება.

* * *

ჩვენი სურვილია, რომ საგამომცემლო ბიზნესი გამომცემლების იყოს, ოღონდ ამან არ გამოიწვიოს სახელმძღვანელოების გაძვირება. ეს ყველაზე რთული ამოცანაა, რომელიც უნდა ამოვხსნათ.

პროფესიული განვითარება

მასშტაბური პროექტის პირველი ნაბიჯები

მასწავლებელთა და სკოლის დირექტორთა პროფესიული განვითარების პროექტის ფარგლებში, 20 000-ზე მეტი მასწავლებელი და 2 000-ზე მეტი დირექტორი აიმაღლებს კვალიფიკაციას მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესისა და საჯარო სკოლების ეფექტიანი მართვის დასანერგად. ახალ სასწავლო წელს 1400 დირექტორი გადამზადებული შეხვდა.

გვერდი 6

განათლება უცხოეთში

მომავლის ლიდერები ამერიკული გამოცდილებით

21 სექტემბრიდან, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეებისთვის, FLEX-მომავალ ლიდერთა გაცვლითი პროგრამა დაიწყება. 2017-2018 აკადემიური წლისთვის, FLEX პროგრამის ფარგლებში, 50-მდე ფინალისტი შეირჩევა.

გვერდი 8



აშშ-ს მშვიდობის კორპუსი საქართველოში

იწყებს სკოლების განაცხადების მიღებას 2017-2019 წლებში მოხალისესთან თანამშრომლობისთვის

Peace Corps

მშვიდობის კორპუსის მოხალისეები თექვსმეტი წელია წარმატებით ახორციელებენ განათლების პროექტს საქართველოს რეგიონებში. კონკურსში შერჩეული სკოლები ამერიკელ ინგლისური ენის მასწავლებლებთან იმუშავებენ, 2017-2019 სასწავლო წლებში, ინგლისური ენის ცოდნის დონისა და სასწავლო პრაქტიკის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით.

კონკურსში მონაწილეობა შეუძლიათ საჯარო სკოლებს შემდეგ რეგიონებში: **კახეთი (ახმეტის ჩრდილოეთით მდებარე სოფლების გარდა), მცხეთა-მთიანეთი (სტეფანწმინდის გარდა), ქვემო ქართლი, შიდა ქართლი, სამცხე-ჯავახეთი, აჭარა, გურია, იმერეთი, სამეგრელო (წალენჯიხის გარდა), რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი.** კონკურსში მონაწილეობა არ შეუძლიათ იმ სოფლებისა და ქალაქების სკოლებს, რომლებიც მდებარეობენ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციული საზღვრის ათკილომეტრიან ზოლში.

თუ თქვენი სკოლა მდებარეობს ჩამოთვლილი რეგიონებიდან ერთ-ერთში, ინგლისური ენის მინიმალური საათობრივი გადე შეადგენს 24 საათს და დაინტერესებული ხართ მოხალისესთან თანამშრომლობით 2017-2019 აკადემიურ წლებში, აპლიკაცია მოითხოვეთ ადგილობრივ საგანმანათლებლო რესურსცენტრში ან მოიძიეთ ჩვენს ვებგვერდზე: https://www.peacecorps.gov/georgia/ask-for-a-volunteer/, შეავსეთ და მოგვაწოდეთ მშვიდობის კორპუსის ოფისში მისამართზე: ვაჟა-ფშაველას გამზირი 29ᵃ, თბილისი, 0160 ან გამოგვიგზავნეთ ელექტრონული ფოსტით მისამართზე: education@ge.peacecorps.gov

დამატებითი ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით:

- ასმათ სიხარულიძე
  განათლების პროგრამის ხელმძღვანელი
  ტელ: 595906444;
- თეო ნეფარიძე
  განათლების პროგრამის ხელმძღვანელი
  ტელ: 591969881;
- ია გელაშვილი
  განათლების პროგრამის ხელმძღვანელი
  ტელ: 595950406;
- ნინო ფიროსმანიშვილი
  პროგრამების და ტრენინგების სპეციალისტი
  ტელ: 595027979.

მიადევნეთ თვალი ჩვენს ფეისბუქ გვერდს:
Peace Corps Georgia

მოხალისის მოთხოვნის შევსებული ფორმის ჩაბარების ბოლო ვადაა 20 ოქტომბერი, 2016 წელი

ინფორმაცია

ქართველი მოსწავლეები დიდ ბრიტანეთში

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო რამდენიმე „ინგლისური ენის სწავლების გაძლიერების პროგრამას“ ახორციელებს, რომელიც ორ ქვეპროგრამას მოიცავს: „ინგლისური ენის საზაფხულო სკოლები საქართველოში“ და „ინგლისური ენის საზაფხულო სკოლები გაერთიანებულ სამეფოში“.

ინგლისური ენის საზაფხულო სკოლაში მონაწილეობენ მე-9, მე-10 და მე-11 კლასელები, რომლებმაც წარმატება მოიპოვეს 13 საგნობრივ ოლიმპიადასა და სხვადასხვა კონკურსებში. 200-მოსწავლიან, 3-კვირიან 3 ნაკადში, ჯამში, 600 მოსწავლე მონაწილეობს, საიდანაც, დამატებით ირჩევა 36 მოსწავლე (12 თითოეული ნაკადიდან) და მიემგზავრება დიდ ბრიტანეთში 2-კვირიან ინგლისური ენის საზაფხულო სკოლაში.

დიდ ბრიტანეთში გასამგზავრებელი მოსწავლეების შერჩევა ხდება ისეთი კრიტერიუმებით, როგორიცაა: საქართველოში ჩატარებული ინგლისური ენის საზაფხულო სკოლაში მიღწეული აკადემიური პროგრესი, აქტივობებში ჩართულობა, თანატოლებთან კომუნიკაციის უნარი, კრეატიულობა, დამოუკიდებლობა, დროის მენეჯმენტი, ლიდერული უნარ-ჩვევები და ა.შ. პროცესში თავად მოსწავლეებიც მონაწილეობენ და ხმას აძლევენ გამორჩეულად წარმატებულ მონაწილეებს.

12 საუკეთესო მოსწავლეს, რომელთაგანაც 4 თბილისს და 8 რეგიონს წარმოადგენს, საშუალება ეძლევათ, უფასოდ გაიარონ 2-კვირიანი ინგლისური ენის გაძლიერებული კურსი ბრიტანულ ბაქსვუდში, რომელიც ლონდონთან ახლოს, ქალაქ ჰეისტინგში მდებარეობს.

ბრიტანულ საზაფხულო სკოლაში ყოველდღიურობა მრავალფეროვანი, საინტერესო და სახალისოა – მოსწავლეები, განათლების მიღებასთან ერთად, პრაქტიკულ უნარ-ჩვევებსა და დამოუკიდებლობას სწავლობენ, მეგობრებს იძენენ, სხვადასხვა აქტივობებსა და ღონისძიებაში ერთვებიან და ასე ემზადებიან მომავალი წარმატებული ცხოვრებისათვის.

ჯაილს სატონო, ბრიტანული ბაქსვუდის სკოლის *დირექტორი: „ბოლო ათი წელია, საქართველოსა და ბრიტანეთში არსებული ბაქსვუდის სკოლები მჭიდროდ თანამშრომლობენ და ეს ჩვენთვის დიდი პატივია. მომავალშიც ასე გაგრძელდება. ჩვენს სკოლაში ვუმასპინძლებთ ქართველ მოსწავლეებს. ჩვენ გვყოლია სხვადასხვა გამოცდილების მქონე ქართველი მოსწავლეები და ყოველთვის აღფრთოვანებული ვარ მათი მოტივაციით და გახსნილობით სიახლეებისა და ცოდნის მიმართ. ბაქსვუდის სკოლებს ძალიან ტრადიციული და დისციპლინირებული მიდგომა აქვთ, თუმცა განათლება უფრო მეტია, ვიდრე საკლასო ოთახში მიღებული ცოდნა. ჩვენ ახალგაზრდებს ცხოვრებისთვის ვამზადებთ“.*

ინგლისური ენის გაკვეთილები 9 საათიდან 13 საათამდე მიმდინარეობს. ახალი სიტყვებისა და გრამატიკის სწავლასთან ერთად, მოსწავლეები სწორად მეტყველებასა და ტექსტის გააზრებასაც სწავლობენ. არჩევენ საინტერესო სტატიებს, უყურებენ ფილმებს, მსჯელობენ, ყვებიან თავიანთ ისტორიებს და, საბოლოო ჯამში, საგრძნობლად იუმჯობესებენ უცხო ენის ცოდნის დონეს.

გაკვეთილების შემდეგ არააკადემიური ნაწილის დრო დგება. ყოველი მომდევნო დღე წინასაგან განსხვავებული, გამორჩეული და დასამახსოვრებელია. მოსწავლეები გეგმავენ და მართავენ წარმოდგენებს, რომელშიც თითოეულ მონაწილეს ნიჭის გამოვლენის შესაძლებლობა აქვს. სპორტული შეჯიბრებები თითქმის ყველა სახეობაში ტარდება, თუმცა ფეხბურთი მაინც განსაკუთრებულად, ანუ ბრიტანულად უყვართ. არის საჯინიბო და ცხენოსნობის კლუბი, სადაც ქართველი მოსწავლეები სიხარულით წევრიანდებიან, ჯირითობენ და უბრალოდ, კიდევ უფრო უყვარდებათ ცხოველები.

ბრიტანელი მასპინძლების მიერ ორგანიზებული ექსკურსიებიც საოცნებოა: მოსწავლეები სტუმრობენ ლონდონს, მსოფლიო მეგაპოლისს, სადაც სასახლეებისა თუ კულტურული ძეგლების დათვალიერებას, შოპინგს, სეირნობასა და მუზეუმებში ვიზიტსაც წარმატებით უთავსებენ. ქალაქ ისთბოურნში საჰაერო ფერრად შოუს უყურებენ, ბრაიტონში უზარმაზარ აკვარიუმსა და თევზებს ათვალიერებენ და კიდევ მრავალი, მრავალი სხვა...

და მაინც, ყველაზე მთვარი აქ შეძენილი მეგობრები, შთაბეჭდილებები და ის ფასდაუდებელი გამოცდილებაა, რომელიც ამ პროექტის მონაწილეების ცხოვრებას უკეთესობისკენ ცვლის.

გიორგი ცუცქირიძე, თბილისის 52-ე საჯარო სკოლის მოსწავლე: *„ყოველი დღე ბაქსვუდის საზაფხულო სკოლაში გამორჩეულია, ყოველდღე განსხვავებული აქტივობები გვაქვს. დღე ისეა გადანაწილებული, რომ სულ რაღაცას ვაკეთებთ, სულ აქტივობებში ვართ ჩართული, თან ეს ყველაფერი ძალიან საინტერესოა. დიდი ადგილი უჭირავს აკადემიურ ნაწილს, ინგლისური ენის გაძლიერებას. მნიშვნელოვანია ისიც, რომ ეს საერთაშორისო ბანაკია და საინტერესოა სხვა ქვეყნებიდან ჩამოსულ თანატოლებთან ურთიერთობა, ვცვლით ინფორმაციას. მართლაც ფასდაუდებელი რამ არის, რაც ამ ბანაკში ხდება“.*

მარიამ გელაშვილი, წეროვნის მე-3 საჯარო სკოლის მოსწავლე: *„ბაქსვუდში გავდივართ ინგლისური ენის შემსწავლელ ინტენსიურ კურსს. ყველაზე მნიშვნელოვანი ის არის, რომ ეს გაკვეთილები ძალიან განსხვავდება ჩვეულებრივი გაკვეთილებისგან, სახალისოა, ვსწავლობთ თამაშ-თამაშით. ქართულად საერთოდ არ ვსაუბრობთ, სულ ინგლისურად საუბარი გვიწევს. ინგლისური ენის შესწავლის გარდა, ვიძენთ ბევრ საჭირო უნარ-ჩვევას, მეცადინეობები მხოლოდ ენის შესწავლით არ შემოიფარგლება. უამრავი რამის სწავლა შეიძლება თითოეული ლიდერისგან. ისინი გვიზიარებენ გამოცდილებას და გვაძლევენ რჩევებს“.*

სალომე გოდერიძე, თბილისის მე-13 საჯარო სკოლის მოსწავლე: *„ძალიან გვეხმარებიან ინგლისურის უკეთ სწავლაში, რაც გვეხმარება უკეთ შევიცნოთ ეს ენა და უკეთ ვილაპარაკოთ. ეს უდიდესი გამოცდილებაა ჩვენთვის. მიმაჩნია, რომ ძალიან დიდი მიღწევაა, აქ რომ მოვხვდით“.*

გიორგი ონიანი, ლენტეხის პირველი საჯარო სკოლის მოსწავლე: *„ძალიან მომწონს აქაურობა, აქ ყველანაირი შესაძლებლობაა, რომ განვითარდე და მიიღო განათლება, ისწავლო ურთიერთობა. გვაქვს სპორტის ყველა სახეობისთვის საჭირო ინვენტარი – ფეხბურთი, ფრენბურთი, ჩოგბურთი თუ სხვ. შეგვიძლია ცხენებზე დაჯდომა, რაც ძალიან სასიამოვნოა. მომწონს ყველაფერი, ყოველდღე ახალ-ახალი აქტივობები იგეგმება, რაც ძალიან გასახარია ჩვენთვის“.*

ტიმ აჯიბოდე, ჯგუფის ლიდერი: *„საზაფხულო სკოლაში სხვადასხვა სახის აქტივობებს ვუთავსებთ ერთმანეთს, დაწყებული ფეხბურთით და დამთავრებული ისეთი თამაშებით, სადაც მოსწავლეებს ძალისა და სისწრაფის გამოყენება სჭირდებათ. თამაშები ინტელექტუალურ ელემენტებსაც აერთიანებს. ვცდილობთ, ვიპოვოთ ბალანსი მოსწავლეთა შესაძლებლობებს შორის, რათა ყველა ბავშვს თანაბრად ჰქონდეს საშუალება, მაქსიმალური მიიღოს ამ სკოლიდან. ვფიქრობ, ქართველი ხალხი ერთ-ერთი ყველაზე ბედნიერი ერია, ვისაც ოდესმე შევხვედრივარ. ყოველწლიურად ვაკვირდები და არ მინახავს ქართველი მოსწავლე, რომელსაც არ უნდა იმღეროს, დაუკრას, იცეკვოს ან სხვა რამ გააკეთოს. მოსწავლეთა ამჟამინდელ ჯგუფშიც ყველა ძალიან მხიარულია, სულ იცინიან“.*

ზაურ გამყრელიძე, ონის საჯარო სკოლის მოსწავლე: *„ბაქსვუდის სკოლაში ძალიან საინტერესოა, კარგი ბავშვები არიან საკმაოდ ბევრი ქვეყნიდან. ვიძენთ ახალ მეგობრებს. ყოველდღე გვაქვს გასვლები, ექსკურსიები. დღეს რაისთან სანაპიროზე გამოვედით, გვაქვს საინტერესო აქტივობა – ქვიშის კოშკებს ვაშენებთ. გამოვლინდება გამარჯვებული, რომელსაც 100 000 ქულას მიანიჭებენ, კვირის ბოლოს ეს ქულები დაითვლება და ვისაც ყველაზე მაღალი ქულა ექნება, დაჯილდოვდება პიცით“.*

ეკა ფანცულაია, თბილისის 42-ე საჯარო სკოლის მოსწავლე: *„სისტემატურად, სწავლასთან ერთად, დავდივართ ინგლისის ქალაქებში. განსაკუთრებით შთამბეჭდავი იყო ლონდონი, რა თქმა უნდა, მოვინახულეთ ყველა ცნობილი ღირსშესანიშნაობა, როგორიცაა, მაგალითად, ბიგ ბენი, ბუკინგემის სასახლე... მოგვეცა შესაძლებლობა, შევსულიყავით ბუკინგემის სასახლეში. საოცარი შთაბეჭდილებებით დავბრუნდით. ძალიან მოხარულები და ბედნიერები ვართ, ეს შესაძლებლობები რომ გვეძლევა“.*

ბაქსვუდის საზაფხულო სკოლის მონაწილე ქართველ მონაწილეებს შეხვდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე ლია გიგაური, დიდ ბრიტანეთში სამუშაო ვიზიტის ფარგლებში.

მან მოსწავლეებისაგან მოისმინა ინფორმაცია, როგორ მიმდინარეობს პროგრამები, მისაღებია თუ არა არაფორმალური განათლების ის მიდგომები, რასაც ბაქსვუდის საზაფხულო სკოლა მათ სთავაზობს და რაც მთავარია, მინისტრის მოადგილემ მოლაპარაკებები აწარმოა სკოლის დირექტორთან, თუ როგორ შეიძლება გაფართოვდეს მომავალში არაფორმალური განათლების ეს პროგრამა.

ლია გიგაური: *„ბაქსვუდის სკოლას ახასიათებს ძალიან ბევრი ინოვაციური მეთოდით სწავლება და თითოეული მოსწავლის მიმართ განსაკუთრებული, ინდივიდუალური მიდგომა. სკოლის ფილოსოფია გახლავთ ის, რომ თითოეული ბავშვი ტალანტია, თითოეულ ბავშვში არსებობს განსაკუთრებული ნიჭი და სკოლის ვალდებულებაა, აღმოაჩინოს ეს ნიჭი და ხელი შეუწყოს მის განვითარებას“.*

მინისტრის მოადგილემ, ასევე, მოინახულა ნოტინგემის საზაფხულო სკოლაში მყოფი ქართველი მოსწავლეები და სასწავლო პროცესს გაეცნო.

დიდი ბრიტანეთის ნოტინგემის უნივერსიტეტსა და ნოტინგემის ახალ კოლეჯთან გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში, ინგლისური ენის კონკურსში გამარჯვებული ქართველი მოსწავლეები ნოტინგემის კოლეჯსა და საზაფხულო სკოლის პროგრამებში მონაწილეობით ჯილდოვდებიან. აქ ქართველი მოსწავლეები ინგლისური ენის ცოდნას იღრმავებენ, ასევე ჩართულები არიან სხვადასხვა ტიპის ინტელექტუალურ და სპორტულ აქტივობებში.

პროგრამაში ჩართულ მოსწავლეთა რაოდენობა ყოველწლიურად იზრდება, წელს, ინგლისში, ნოტინგემის სხვადასხვა პროგრამებში, 16 ქართველი მოსწავლე მონაწილეობდა.

მინისტრის მოადგილე უნივერსიტეტისა და კოლეჯის ხელმძღვანელ პირებს შეხვდა და მოლაპარაკებები გამართა მომავალ თანამშრომლობაზე, პროგრამების განვითარებასა და გეოგრაფიული არეალის გაზრდაზე (პროგრამების ნაწილის საქართველოში განხორციელების კუთხით). დაიგეგმა თანამშრომლობის ახალი სტრატეგიები.

დიდ ბრიტანეთში გამართული შეხვედრებისას შეფასდა განვლილი პერიოდი და ორივე მხარემ აღიარა განვითარებისა და პროგრამების განახლების საჭიროება, რათა ისინი პასუხობდნენ თანამედროვე გამოწვევებს და უფრო მაღალ სტანდარტებზე იყოს ორიენტირებული.

მოამზადა ლალი თვალაბეიშვილმა

მინისტრი დაგეგმილი ცვლილებების შესახებ

ახალი სასწავლო წლის დაწყებასთან დაკავშირებით განათლებისა და მეცნიერების მინისტრი ალექსანდრე ჯეჯელავა ჟურნალისტებს შეხვდა და სისტემაში დაგეგმილი სიახლეების შესახებ შეკითხვებს უპასუხა:

– ახალ სასწავლო წელს გახარებულები ვხვდებით. პირველ რიგში, გვიხარია, რომ წელს მეტი პირველკლასელი მოდის სკოლაში. მათი რაოდენობის ზრდა, ნაწილობრივ, შარშან სკოლაში ხუთწლიანთა არდაშვებამაც გამოიწვია, თუმცა, ამის გარეშეც რომ ნახოთ, ვმრავლდებით, რაც ძალიან სასიხარულოა. ჩვენი სიხარულის მეორე მიზეზი იმას უკავშირდება, რომ სასწავლო წელს ძალიან ბევრ ადგილას მნიშვნელოვნად გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურით ვხვდებით; შემდეგი დღეების განმავლობაში მოგიწვევთ და გიჩვენებთ ამ სკოლებს. მათ შორისაა ჩვენი ამერიკელი მეგობრების დახმარებით რეაბილიტირებული, სრულიად ფანტასტიკური სკოლები, მოგინდებათ სკოლაში დაბრუნება; ასევე, ახალ სასწავლო წელს დროულად და ოპერატიულად დარიგებული სახელმძღვანელოებით, კომპიუტერებით ვხვდებით – ამისთვის, ალბათ, სკოლებსაც და რესურსცენტრებსაც მადლობა უნდა გადავუხადოთ, ასევე, სამინისტროს თანამშრომლებს; დიდი იმედი მაქვს, რომ ვხვდებით უფრო მოტივირებული და დამშვიდებული მასწავლებლებით, რომლებსაც არც გამოცდას, არც ჩაჭრას და არც გაყრას არავინ უპირებს. დარწმუნებული ვარ, ახალი ენერგიით შეუდგებიან მუშაობას თავიანთ მოსწავლეებთან. ვულოცავ მასწავლებლებს, მოსწავლეებს და მშობლებს ახალი სასწავლო წლის დაწყებას.

– ნებისმიერ სტუდენტს და პროფესორს აქვს უფლება შარშვაშიძე ან ნებისმიერი სხვა კანდიდატი არ მოსწონდეს. რაც შეეხება უნივერსიტეტის დამოუკიდებლობას, ვფიქრობ, არჩევნებში რომ ვმონაწილეობდე, ისეთ კანდიდატს მივცემდი ხმას, რომელსაც გავლენა აქვს როგორც განათლების სამინისტროზე, ისე სხვა საგანმანათლებლო წრეებში, რადგან მიმაჩნია, რომ დამოუკიდებლობა იზოლაციას არ ნიშნავს.

– რა კონკრეტული ცვლილებები იგეგმება მასწავლებელთა პროფესიული განვითარების და კარიერული წინსვლის სქემაში? რით დაამშვიდეთ და გახადეთ უფრო მოტივირებული პედაგოგები?

– პირველ რიგში, ჩვენ ვთქვით, რომ სქემის ის ნაწილი, რომელიც შეიცავდა (არ მინდა ამ სიტყვის თქმა, მაგრამ მაინც გამოვიყენებ) მუქარას, რომ მასწავლებელს შეიძლება სამ წელიწადში სამსახური დაეტოვებინა, უახლოეს პერიოდში გაქრება. ყველა მასწავლებელს ვეუბნებით, რომ თუ ის გაკვეთილს ატარებს, თუ მას არ აქვს პრობლემები მოსწავლეებთან და სკოლის ადმინისტრაციასთან, გამოცდის ან მსგავსი რამის გამო, სკოლას არ დატოვებს.

რაც შეეხება თვითონ სქემაში კომპონენტების დამატებას, ვაპირებთ, რომ პედაგოგიური უნარების გამოცდა აღვადგინოთ, თუმცა, არჩევითი, ნებაყოფლობითი გავხადოთ. ნებისმიერ მასწავლებელს შეეძლება ან საგნის გამოცდა ჩააბაროს, ან უნარების, ან ორივე ერთად – ეს მისი გადასაწყვეტი იქნება. ვიდეოგაკვეთილებს რაც შეეხება, არც ისინი გაგვიუქმებია, ესეც არჩევითი კომპონენტია – მასწავლებელს, სურვილის შემთხვევაში, შეუძლია ვიდეოგაკვეთილიც გააკეთოს.

ვაპირებთ დავამატოთ სხვადასხვა კომპონენტები. ერთ-ერთი, რაც, პრაქტიკულად, გადაწყვეტილია, არის დისტანციური გაკვეთილების დაწყება (მოსინჯვა), უცხოეთში მცხოვრები საქართველოს მოქალაქეების შვილებისთვის. საუბარია ქართულ ენასა და ლიტერატურაზე და ისტორიაზე. ასევე გადაწყვეტილი გვაქვს, რომ მასწავლებელს სოციალურ აქტივობაში, ანუ სკოლის მოსწავლეების სოციალური აქტივობის მიმართულებით ორგანიზებაში მივანიჭოთ კრედიტები. აი, ეს არის, რაც ამ წუთას დანამდვილებით ვიცით რომ შეიცვლება. თუმცა, საკმაოდ მალე, ერთ თვეში, მაქსიმუმ თვენახევარში, ახალი სქემის პრეზენტაცია შედგება და ყველას ექნება საშუალება, გაეცნოს მას.

– ხომ არ იგეგმება „ახალ სქემაში“ პროფესიაში ახალგაზრდების შესვლის გაიოლება?

– ეს ის საკითხია, რომელიც უფრო მძიმედაა წარმოჩენილი, ვიდრე რეალურადაა საქმე. რომ ვნახოთ სტატისტიკა, რამდენი ახალგაზრდა მასწავლებელი შევიდა ბოლო წლების განმავლობაში სისტემაში, დამერწმუნეთ, რომ საკმაოდ შთამბეჭდავი რაოდენობაა. მეორე მხრივ, ვაპირებთ თუ არა მასობრივ ცვლილებებს და ათობით ათასი ადამიანის ჩანაცვლებას, ამას ნამდვილად არ ვაპირებთ და არც გვაქვს ჩასანაცვლებლად საქმე, რადგან ჩვენი მასწავლებლები ძალიან კომპეტენტურები, გულანთებულები და მოტივირებულები არიან. მათთან ერთად და მათი განვითარებით ვაპირებთ, შევძლოთ სკოლის წინ წაყვანა.

– როდის ამოქმედდება თქვენი ინიციატივა XIIკლასის შესახებ?

– ეს ინიციატივა მხოლოდ XII კლასს არ ეხებოდა, არამედ XI-XII კლასებს, ანუ ამ საფეხურის გაძლიერებას, შედეგობრივად – რეპეტიტორობის ინსტიტუტთან გათანაბრებას. წელს ეს ინიციატივა ვერანაირად ვერ ამოქმედდება. ცხადია, მოსწავლეებმა ასეთი ცვლილებების შესახებ რამდენიმე ხნით ადრე უნდა იცოდნენ. ამიტომ, თუ კანონში ცვლილებას შევიტანთ, მინიმუმ, ერთი ან ორი წელი ექნება ყველა მოსწავლეს, რომ ამ სიახლეს შეეგუოს და მოემზადოს. ერთ წელიწადში ეს სიახლე რამდენიმე საექსპერიმენტო სკოლაში ამოქმედდება, მოვსინჯავთ სისტემას და ამის შემდეგ ექსპერიმენტს სხვა სკოლებშიც გავაგრძელებთ.

– ვრცელდება ინფორმაცია, რომ დარიგებული სახელმძღვანელოების უმეტესი ნაწილი დაზიანებულია, რამდენ პროცენტს შეადგენს ახალი წიგნების რაოდენობა?

– დაახლოებით 30% ახალი წიგნებია, დაახლოებით 70% კი – ნახმარი სახელმძღვანელოები. ამ 70%-დანაც ზოგი ორი წლის წიგნია, ზოგი კი – 3. ძალიან დაზიანებული წიგნები გადავარჩიეთ და ხმარებიდან ამოვიღეთ, ამიტომ, წესით, დაზიანებული სახელმძღვანელო არც ერთ მოსწავლეს არ უნდა შეხვდეს. თუმცა, შეგახსენებთ, რომ ასათასობით სახელმძღვანელოზეა საუბარი (მილიონობით – თავისი რვეულებით), შესაბამისად, რა თქმა უნდა, შეიძლება გამონაკლისიც მოხდეს. ისიც შესაძლებელია, რომ თვითონ ბავშვებს გაუფუჭდეთ წიგნები. მთლიანობაში ეს წიგნები კარგ მდგომარეობაშია.

– ნებისმიერ სტუდენტს და პროფესორს აქვს უფლება შარშვაშიძე ან ნებისმიერი სხვა კანდიდატი არ მოსწონდეს. რაც შეეხება უნივერსიტეტის დამოუკიდებლობას, ვფიქრობ, არჩევნებში რომ ვმონაწილეობდე, ისეთ კანდიდატს მივცემდი ხმას, რომელსაც გავლენა აქვს როგორც განათლების სამინისტროზე, ისე სხვა საგანმანათლებლო წრეებში, რადგან მიმაჩნია, რომ დამოუკიდებლობა იზოლაციას არ ნიშნავს.

– იგეგმება სახელმძღვანელოების გრიფირება. რა იცვლება გრიფირების ახალი წესის მიხედვით და როდის დაიწყება პროცესი?

– იმედი მაქვს, გრიფირების პროცესი რამდენიმე კვირაში გამოცხადდება. ამის შემდეგ გამომცემლობებმა უნდა დაიწყონ ახალი სახელმძღვანელოების შექმნა. შემდგომი ეტაპია ამ სახელმძღვანელოების შემოწმება-გადამოწმება და, საბოლოო ჯამში, 2017 წლის ზაფხულის დასაწყისისთვის უნდა გვქონდეს უკვე ახალი სახელმძღვანელოები, რომლებსაც მიენიჭება გრიფი და ახალი სასწავლო წელი ახალი სახელმძღვანელოებით დაიწყება.

– ერთ-ერთი, რაც, პრაქტიკულად, გადაწყვეტილია, არის დისტანციური გაკვეთილების დაწყება (მოსინჯვა), უცხოეთში მცხოვრები საქართველოს მოქალაქეების შვილებისთვის. საუბარია ქართულ ენასა და ლიტერატურაზე და ისტორიაზე, ასევე გადაწყვეტილი გვაქვს, რომ მასწავლებელს სოციალურ აქტივობაში, ანუ სკოლის მოსწავლეების სოციალური აქტივობის მიმართულებით ორგანიზებაში მივანიჭოთ კრედიტები.

ამ პროცესებს ძალიან ფრთხილად ვუდგებით. მოგეხსენებათ, რომ იმდენად ცუდი სახელმძღვანელოები გვაქვს შინაარსობრივად და სტრუქტურულად, კიდევ ახლის დამატება არ ივარგებს, რადგან სჯობს თუ კარგს ვერ აკეთებ, ცოტა ხანს თავი დაანებო და მაშინ გააკეთო, როცა ამას ნამდვილად შეძლებ. დარწმუნებულები ვართ, მომავალ წელს, სახელმძღვანელოების გარკვეული ნაწილი მოესწრება. დღესაც გვქონდა გამომცემლებთან შეხვედრა. მიმდინარეობს მოლაპარაკებები იმის შესახებ, მხოლოდ I-IV კლასების სახელმძღვანელოებზე ვიმუშაოთ, თუ V-VI კლასებისაზეც, იმიტომ რომ, სახელმძღვანელოების რაოდენობა V-VI კლასებში ერთი იმდენია, რაც I-დან IV-მდე. ამიტომ ხომ არ დაზარალდება ხარისხი?! თუმცა, ავტორები აცხადებენ, რომ ვადები, რაც ჩვენ დაახლოებით მოვხაზეთ, სავსებით რეალისტურია. კიდევ ბევრი რამ იცვლება, მაგრამ მთავარი არის ის, რომ გამომცემლობებს ვუბრუნებთ, ასე ვთქვათ, ამ ბიზნესს. არანაკლებ მნიშვნელოვანია, ფასი არ გაგვექცეს ხელიდან. ჩვენი სურვილია, რომ საგამომცემლო ბიზნესი გამომცემლების იყოს, ოღონდ ამან არ გამოიწვიოს სახელმძღვანელოების გაძვირება. ეს ყველაზე რთული ამოცანაა, რომელიც უნდა ამოვხსნათ. ასევე, პირველ წელს, ყველა სახელმძღვანელოს საპილოტე რეჟიმში შემოვიტანთ, რაც იმას ნიშნავს, რომ ყველა მასწავლებელს და მოსწავლეებსაც შეეძლებათ თავიანთი კომენტარები და შენიშვნები დაუბრუნონ გამომცემლებს და, ფაქტობრივად, მეორე წლიდან იგივე სახელმძღვანელოები კიდევ უფრო დახვეწილი სახით დაიბეჭდება.

ვგეგმავთ, რომ თითოეულ კლასში თითო საგანში, მინიმუმ, სამი ალტერნატიული სახელმძღვანელო იყოს. იმედი გვაქვს, რომ ზოგან კიდევ უფრო მეტი იქნება. ჩემი სურვილია, სკოლებს, რომლებსაც კარგი შედეგები აქვთ და მოწინავე სკოლებად ითვლებიან, თანდათან დავუბრუნოთ დამოუკიდებლობა სახელმძღვანელოების არჩევანში. უნდა ვაღიაროთ, რომ მოწინავე სკოლები მაინც იყენებენ პარალელურად, როგორც დამატებით რესურსს, სხვა სახელმძღვანელოებს და ეს აკრძალული არც აქვთ. მიმაჩნია, რომ სიმკაცრე თავის დროზე კარგიც იყო (როცა გადაწყდა, რომ არეულობა ამ ბაზარზე მოწესრიგებულიყო), მაგრამ ახლა ცოტათი ზღუდავს მოწინავე მასწავლებლებსა თუ სკოლებს. როდესაც სკოლა აირჩევს ალტერნატიული სახელმძღვანელოებიდან ერთ-ერთს, მოწინავე სკოლებს რეკომენდაციას გავუწევთ (ექსპერიმენტის სახით დავიწყებთ), რომ ამ სამი სახელმძღვანელოს გარდა სხვა სახელმძღვანელოებიც მოსინჯონ და დავაკვირდეთ, როგორ გავლენას იქონიებს ეს შედეგებზე. ბევრ ქვეყანაში მასწავლებელი და სკოლა თავად ირჩევენ სახელმძღვანელოს ყოველგვარი გრიფირების გარეშე.

ჩვენი ამოცანაა, რომ სახელმძღვანელოში მოსწავლის საზიანო რამ არ ეწეროს, ხოლო რა პრინციპით ასწავლოს მასწავლებელმა წილადები ან კონტინენტები, მისი გადასაწყვეტი იქნება.

– მოწინავე სკოლებს რეკომენდაციას გავუწევთ (ექსპერიმენტის სახით დავიწყებთ), რომ სამი ალტერნატიული სახელმძღვანელოს გარდა სხვა სახელმძღვანელოებიც მოსინჯონ და დავაკვირდეთ, როგორ გავლენას იქონიებს ეს შედეგებზე. ბევრ ქვეყანაში მასწავლებელი და სკოლა თავად ირჩევენ სახელმძღვანელოს ყოველგვარი გრიფირების გარეშე.

– შენარჩუნდება თუ არა სახელმწიფო პოლიტიკა უფასო სახელმძღვანელოების შესახებ?

– ალბათ, ამაზე ჩემი პირადი მოსაზრება იცით, რომ მე არ ვარ მდიდარი ხალხისთვის საჩუქრების კეთების ფანი. თუმცა, ეს ჩემი გადასაწყვეტი არ არის, ეს მთელი ერის გადასაწყვეტია. ეს პრინციპი წელსაც შენარჩუნებულია და ეჭვი მაქვს, მომავალ წელსაც შენარჩუნდება, მაგრამ მიმაჩნია, რომ აუცილებლად უნდა წავიდეთ იქითკენ, რომ სახელმძღვანელო საჩუქრად მივცეთ მას, ვისაც ეს მართლა სჭირდება.

– ხომ არ იგეგმება ერთიანი ეროვნული გამოცდების სახეცვლილება და სტუდენტთა დაფინანსების საკითხის გადახედვა – 2250 ლარით ფინანსდება ყველა სახელმწიფო საბაკალავრო პროგრამა – ძვირადღირებულიც და ნაკლებად ძვირადღირებული პროფესიებიც.

– ერთიანი ეროვნული გამოცდები, ისევე როგორც დაფინანსება, ყოველწლიურად უნდა გადაიხედოს, იმიტომ რომ, სამყარო წინ მიდის, გარემოებები იცვლება და ის, რაც თავის დროზე არაჩვეულებრივი იყო, შეიძლება რამდენიმე წელიწადში საზოგადოების საჭიროებებს ჩამორჩეს. ამიტომ ვფიქრობ, რომ ყოველწლიურად გადასახედია. რეალურად ასეც არის, წლევანდელი ეროვნული გამოცდები განსხვავდებოდა შარშანდელისგან, შარშანდელი – შარშანწინდელისგან, მომავალ წელსაც აუცილებლად განსხვავებული იქნება.

რაც შეეხება დაფინანსების სქემას, აქაც მიმაჩნია, რომ მრავალფეროვნება გვაკლია. არსებული სქემის მოშლას ან შეცვლას არ ვაპირებთ, თუმცა, მგონია, რომ დამატებითი ხელშეწყობა სჭირდება ზოგიერთ სპეციალობას, რომელიც შეიძლება უფრო ძვირადღირებული იყოს, იგივე სამედიცინოზე შეიძლება ვისაუბროთ ან საინჟინროზე და სხვ. ვფიქრობ, უნდა გამოვნახოთ შესაძლებლობები, რომ ძვირადღირებული სპეციალობების ხელშეწყობა მოვახერხოთ.

– როგორ აფასებთ სტუდენტთა გარკვეული ნაწილის კრიტიკულ განწყობას გიორგი შარვაშიძის, როგორც რექტორის კანდიდატურის, მიმართ – მიაჩნიათ, რომ ის პოლიტიკური ფიგურაა და ამდენად ვერ უზრუნველყოფს უნივერსიტეტის ავტონომიურობას.

– უნივერსიტეტის რექტორი არჩევნების ფორმით იმიტომ ირჩევა, რომ დაბალანსებული იყოს – ყველას მიეცეს არჩევანის უფლება. მოგეხსენებათ, რომ საპარლამენტო არჩევნებშიც და საპრეზიდენტოშიც ყველას ყველაფერი არ მოსწონს. ნებისმიერ სტუდენტს და პროფესორს აქვს უფლება შარშვაშიძე ან ნებისმიერი სხვა კანდიდატი არ მოსწონდეს. რაც შეეხება უნივერსიტეტის დამოუკიდებლობას, ვფიქრობ, არჩევნებში რომ ვმონაწილეობდე ისეთ კანდიდატს მივცემდი ხმას, რომელსაც გავლენა აქვს როგორც განათლების სამინისტროზე, ისე სხვა საგანმანათლებლო წრეებში, რადგან მიმაჩნია, რომ დამოუკიდებლობა იზოლაციას არ ნიშნავს, ანუ თსუ-ს რექტორი საზოგადოებისგან იზოლირებული ვერ იქნება, პირიქით, ის ყოველდღიურ ურთიერთობაში უნდა იყოს, უბრალოდ, ამან მისი გადაწყვეტილებების ცვლა არ უნდა გამოიწვიოს. ვფიქრობ, ბატონი გიორგი შარშვაშიძე სწორედ ისეთი დონის და რანგის პროფესიონალია, რომელსაც ყველა იცნობს და პატივს სცემს. ძალიან გამიჭირდებოდა მისი აზრის შეცვლა, რომც მდომოდა ამის გაკეთება. სამინისტროშიც ჩვენი თანამშრომლობა ძალიან თანაბარი, მეგობრული და კოლეგიალური იყო. ასე რომ, სხვა კარგ კანდიდატებსაც მივესალმები, თუმცა ვფიქრობ, რომ ძლიერი, გამოცდილი კანდიდატი მხოლოდ არგებს უნივერსიტეტს. ვის აირჩევენ და როგორ იმუშავებენ, რა თქმა უნდა, უნივერსიტეტის შიდა საქმეა.

მოამზადა ლალი ჯელაძემ

ინფორმაცია

საუნივერსიტეტო ქალაქი

საქართველოს შუაგულში კავკასიის რეგიონში უდიდესი, თანამედროვე ინფრასტრუქტურითა და უახლესი ლაბორატორიებით აღჭურვილი ქუთაისის საუნივერსიტეტო ქალაქის მშენებლობა იწყება. თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი ტექნოლოგიური უნივერსიტეტი, რომლის პრეზენტაცია 12 სექტემბერს გაიმართა, ქუთაისში, მუხნარის ტყის მიდამოებში აშენდება და მსოფლიოს წამყვანი საუნივერსიტეტო ქალაქებისათვის დამახასიათებელი ყველა საჭირო ინფრასტრუქტურით იქნება აღჭურვილი. კავკასიის რეგიონში უდიდესი, თანამედროვე ინფრასტრუქტურითა და უახლესი ლაბორატორიებით აღჭურვილი ქუთაისის საუნივერსიტეტო ქალაქი მთელი რეგიონისთვის საგანმანათლებლო-სამეცნიერო და მიზიდულობის ცენტრი გახდება.

ქუთაისის საუნივერსიტეტო ქალაქის, თბილისში განლაგებული ტექნოლოგიური ინსტიტუტის და სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის დაპროექტებას, მშენებლობას, აღჭურვას და ფუნქციონირებას სრულად უზრუნველყოფს ფონდი „ქართუ“ საერთო ბიუჯეტი, ამ ეტაპზე, 1 მილიარდ ევროს შეადგენს. 60 000 სტუდენტზე გათვლილი საუნივერსიტეტო ქალაქი 140 ჰექტარზე გაშენდება და ქვეყანას ყველა იმ დარგის მაღალკვალიფიციური სპეციალისტებით უზრუნველყოფს, რაც საქართველოს ეკონომიკას სწრაფი განვითარებისთვის სჭირდება.

ორივე მეგაკომპლექსი დარჩება სახელმწიფოს საკუთრებაში და როგორც თბილისის ტექნოლოგიური ინსტიტუტი, ისე ქუთაისის საუნივერსიტეტო ქალაქი იქნება სახელმწიფო დაწესებულება.

ახალ ცენტრში, ქართველებთან ერთად, უცხოეთიდან მოწვეული პროფესორ-მასწავლებლებიც იმუშავებენ. უნივერსიტეტის ძირითადი მიმართულებები იქნება: ტექნოლოგიები, კომპიუტერული მეცნიერება, ინჟინერიის სხვადასხვა დარგები, აგრონომია, ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებები, მათი ინტერდისციპლინარული თანამედროვე პროგრამები. ასევე შეთავაზებული იქნება სხვა დარგების საბაკალავრო და სამაგისტრო ხარისხის სპეციალობები, რომელთა საჭიროებას განსაზღვრავს სახელმწიფო.

პროექტი რამდენიმე სასწავლო სივრცეს მოიცავს: სამეცნიერო კვლევის ცენტრები, სტუდენტებისა და მოწვეული მასწავლებლების საცხოვრებელი ფართები, სპორტული ინფრასტრუქტურა, გასართობი და სარეკრეაციო ზონები.

გიორგი კვირიკაშვილი, პრემიერ-მინისტრი: *„დღეს 12 სექტემბერია და შეუძლებელია არ გავიხსენოთ ილია ჭავჭავაძის მკვლელობის დღე და პატივი არ მივაგოთ მის უკვდავ სულს. როგორც ილია ჭავჭავაძე ამბობდა, „მეცნიერება და განათლება უნდა იყოს ქართველი კაცის თოფ-იარაღი“. დღეს ჩვენი შეხვედრაც სწორედ ამ მიზანს ემსახურება, საძირკველი ეყრება საქართველოში ეპოქალური მნიშვნელობის პროექტს. აქ, ქუთაისში, დაფუძნდება უდიდესი და ყველაზე თანამედროვე საგანმანათლებლო ცენტრი, აშენდება საუნივერსიტეტო ქალაქი, რომელიც უპრეცედენტო საგანმანათლებლო ცენტრი იქნება მთელ რეგიონში. ქუთაისის არჩევა ახალი საუნივერსიტეტო ქალაქის ადგილად შემთხვევითი არ არის. ქუთაისია ის ქალაქი, სადაც საუკუნეების წინ არსებობდა გელათის აკადემია, რომელმაც იმ ეპოქაში თავის თავზე იტვირთა უმნიშვნელოვანესი საგანმანათლებლო ცენტრის ფუნქცია.*

დღეს ჩვენ იმის მოწმე ვართ, რომ ოცნება რეალობად იქცა და ბევრი ქვეყნისთვის მართლაც მიუწვდომელი პროექტი საქართველოში იწყებს ხორცშესხმას. მადლობა მინდა ვუთხრა ბატონ ბიძინას ამისათვის. ჩვენ გვაქვს უზარმაზარი ინტელექტუალური პოტენციალი და ამას ყველა ერთხმად აღნიშნავს. ჩვენ გვყავს ძალიან ნიჭიერი ახალგაზრდობა, რომელსაც გზის გახსნა და თანამედროვე ცოდნის მიცემა სჭირდება. უნივერსიტეტის არსებობა შეუნარჩუნებს ქვეყანას ინტელექტუალურ რესურსს და კიდევ უფრო მეტი განვითარების საშუალებას მისცემს მათ. დარწმუნებული ვარ, სწორედ ეს უნივერსიტეტი იქნება ის საგანმანათლებლო ბაზა, რომელიც მაღალკვალიფიციურ პროფესიონალებსა და მეცნიერებს გამოუშვებს. ეს იქნება ის ხალხი და ის თაობები, რომლებიც გარღვევას მოახდენენ ჩვენი სამშობლოს წინსვლასა და განვითარებაში.

უნივერსიტეტს ამ უმნიშვნელოვანესი მისიის განხორციელებაში გვერდში დაუდგებიან ამერიკის შეერთებული შტატების, გერმანიისა და მსოფლიოს სხვა ქვეყნების წამყვანი უნივერსიტეტები, რომლებთანაც უკვე დაწყებულია ინტენსიური თანამშრომლობა. დარწმუნებული ვარ, აქ შეიქმნება ისეთი გარემო, როგორიც სახელგანთქმულ ამერიკულ და ევროპულ უნივერსიტეტებშია, რაც მათ მსოფლიო ლიდერებად აქცევს. ასეთი დონის საუნივერსიტეტო ქალაქში უცხოელი სტუდენტებიც მოისურვებენ განათლების მიღებას. საქართველოში ამჟამადაც ბევრი უცხოელი სწავლობს, მაგრამ ჩვენ გვინდა, რომ კიდევ უფრო გაიზარდოს ჩვენი ქვეყნის მიმზიდველობა. დარწმუნებული ვარ, ეს საუნივერსიტეტო ქალაქი გამორჩეული იქნება თავისი პოტენციალით და იქცევა რეგიონული მნიშვნელობის საგანმანათლებლო ჰაბად.

მოგეხსნებათ, რომ მსოფლიოში დღეს უკვე ტენდენციად იქცა საუნივერსიტეტო ქალაქებში ბიზნესინკუბატორების, ინოვაციური პარკების, სტარტაპ-კომპანიების ჩამოყალიბება და განვითარება. ბევრი გამოგონება და წარმატებული ბიზნესი სწორედ უნივერსიტეტების წიაღში იბადება და ვითარდება. იცით, რომ ჩვენ უკვე დავიწყეთ სტარტაპების პროექტების სახელმწიფო დაფინანსება, ქართველი მეწარმეებისა და ახალგაზრდა ინოვატორების ხელშეწყობა და, დარწმუნებული ვარ, რომ ამ უნივერსიტეტშიც ბევრი საინტერესო პროექტი დაიბადება. გარდა უზარმაზარი საგანმანათლებლო და სამეცნიერო ფუნქციისა, საუნივერსიტეტო ქალაქი თავად ქუთაისის განვითარებაშიც შეიტანს უზარმაზარ წვლილს. ქუთაისმა უნდა დაიბრუნოს ის პოზიციები, რომლებიც მას ტრადიციულად ჰქონდა. ეს იყო ინდუსტრიული ქალაქი, სადაც მუშაობდნენ საუკეთესო ინჟინრები, ტექნოლოგები, სხვადასხვა დარგის სპეციალისტები. მე მჯერა, რომ ამაში საუნივერსიტეტო ქალაქი გადამწყვეტ სიტყვას იტყვის. ბუნებრივია, ასეთი მასშტაბის პროექტების განხორციელება ქუთაისელებისთვის და ამ რეგიონის მოსახლეობისთვის დასაქმების დამატებით შესაძლებლობებს გააჩენს. ბევრი ადგილობრივი უკვე მშენებლობის პროცესში დასაქმდება, ხოლო როდესაც საუნივერსიტეტო ქალაქი დაიწყებს ფუნქციონირებას, საჭირო გახდება სათანადო კადრები და, შესაბამისად, ახალი სამუშაო ადგილებიც გაჩნდება.“

ბიძინა ივანიშვილი, ყოფილი პრემიერ-მინისტრი: *„რამდენიმე თვის წინ ჩვენ დავიწყეთ სამეცნიერო ცენტრის მშენებლობა თბილისში, სადაც კოლაიდერი გაკეთდება და იქ მეგაცენტრი იქნება, სხვადასხვა დარგის მეცნიერებს ექნებათ საექსპერიმენტო ბაზა. ქუთაისის საუნივერსიტეტო ქალაქი და თბილისის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი – ეს ორი უდიდესი პროექტი ერთად საფუძველი იქნება იმისა, რომ საქართველოში მეცნიერება და განათლება აღორძინდეს.“*

საქართველოს საუნივერსიტეტო ქალაქი მოიცავს: მთავარ კამპუსს, რომელშიც გაერთიანდება სასწავლო სივრცეები, მრავალდარგობრივი სამეცნიერო-კვლევითი ცენტრები, სტუდენტების და მოწვეული პროფესორ-მასწავლებლების საცხოვრებელი სივრცეები, ასევე სპორტულ ინფრასტრუქტურას, გასართობ და სარეკრეაციო ზონას.

ერთიანი საგანმანათლებლო სისტემის ნაწილი იქნება თბილისში განლაგებული საქართველოს ტექნოლოგიური ინსტიტუტი და ადრონული თერაპიის სამეცნიერ-კვლევითი ცენტრი, მისი უნიკალური კვლევითი ინფრასტრუქტურით.

მკვლევარი **სიმონ ჯანაშია** რადიო თავისუფლებასთან საუბარში აცხადებს, რომ, მიუხედავად ტექნოლოგიური მიმართულების რამდენიმე უნივერსიტეტის არსებობისა, სურათი აჩვენებს, რომ დღეს საქართველოში არცთუ ისე ბევრია ისეთი ადამიანი, ვისაც ამ მიმართულებით ცოდნის მიღება სურს. ამ ფონზე კი, მისი აზრით, ამ მასშტაბის უნივერსიტეტის დაფუძნება, თუ, ცხადია, სხვა უმაღლეს სასწავლებლებს არ შეზღუდავენ, არარეალისტურია: *„დღეს, ვიცით, რომ უნივერსიტეტები ამ მიმართულებებზე, უბრალოდ, ვერ აგროვებენ სტუდენტებს და უცნაურია, რომ ასეთ პირობებში, იმის მაგივრად, რომ მოქმედ უნივერსიტეტებს დაეხმარონ, სრულიად ახალ უნივერსიტეტებს და ახალ სისტემებს ქმნიან. აი, თუნდაც, ჩვენ დღეს უმაღლესი განათლების ორი სისტემა გვაქვს: ერთი, რომელიც ეხება ყველა უნივერსიტეტს და მეორე, ცალკე კანონი დაიწერა იმ უნივერსიტეტისთვის, იმ სამეცნიერო ცენტრისთვის, რომელსაც გია დვალი უხელმძღვანელებს. ეს ცოტა უცნაურია, რადგან მაშინ გამოდის, რომ სისტემას არ ენდობა სახელმწიფო, რომელსაც ყოველწლიურად თავად აფინანსებს მრავალი მილიონით და თან ცდილობს პარალელური სისტემის აშენებას, იმის მაგივრად, რომ უკვე არსებულის გაუმჯობესებაზე იზრუნოს.*

ამ გეგმაში, რომელშიც, ახლა გაცხადდა, არ ჩანს, თუ როგორ აპირებენ ამ კონკრეტული პრობლემის გადაჭრას. საეჭვოა ის ვადებიც, რომელშიც აპირებენ გახსნას, რადგან ეგ ვადები, საკმარისი იქნება მხოლოდ ინფრასტრუქტურის აშენებისთვის და ეგეც სათუოა. მაგრამ ადამიანი რომ აღზარდო კარგ მეცნიერად, პროფესორად, სამი წელი არ არის საკმარისი. და კიდევ ერთი, მე მგონია, რომ ხელისუფლება დღეს საკუთარ გეგმებს ეწინააღმდეგება, რადგან ბოლო რამდენიმე თვეა, პრემიერიც და განათლების მინისტრიც სულ იმაზე ლაპარაკობენ, რომ ჩვენთან გაცილებით მეტი ადამიანი სწავლობს უმაღლესში, ვიდრე საჭიროა და ამ ფონზე როდესაც ამხელა უნივერსიტეტს ამატებ და ამბობ, რომ სტუდენტების 30%-იანი ზრდა იქნება, ძალიან უცნაურად გამოიყურება ეს პროექტი.

საქართველოს დღეს კარგი უნივერსიტეტები სჭირდება, თუმცა ასეთი უნივერსიტეტები არ ჩნდება ხელოვნურად, მხოლოდ კარგი ადგილის მონიშვნით. იბადება კიდევ ერთი კითხვა: თუ ამხელა ძალისხმევა მიმართული იქნება მხოლოდ ერთი უნივერსიტეტისაკენ, ვისგან უნდა ელოდონ მხარდაჭერას დანარჩენი უნივერსიტეტები, რომლებსაც ხელოვნური კონკურენტი უჩნდება.“

მთავრობა კი მილიონევროიანი პროექტის, დაახლოებით, სამ წელიწადში დასრულებას გეგმავს – 2019 წელს ქუთაისის საუნივერსიტეტო ქალაქმა სტუდენტების პირველი ნაკადი უნდ მიიღოს.

მოამზადა ლალი თვალაბეიშვილმა

მასწავლებლის სამუშაო რვეული



მასწავლებლის სამუშაო რვეული პორტფოლიოს განუყოფელი ნაწილია. რვეულის სტრუქტურა საშუალებას აძლევს მასწავლებელს:
1. საჭიროებისამებრ შეავსოს გაკვეთილის დაგეგმვის სქემების მოკლე ან სრული ვარიანტები;
2. გაეცნოს გაკვეთილის დაგეგმვის რეკომენდაციებს;
3. გაეცნოს გაკვეთილის მოკლედ და დეტალურად დაგეგმვის ნიმუშებს.

4 ლარი

ინტერაქტიური მეთოდების კრებული



კრებულში აღწერილია **ინტერაქტიური სწავლების მეთოდები**; მოცემულია თითოეული მეთოდის გამოყენების ეტაპობრივი აღწერა; განხილულია, რა უნარებს ავითარებს თითოეული მეთოდი; დასახელებულია თითოეული მეთოდის გამოყენების წინაპირობა. კრებულში თავმოყრილია 50-მდე მეთოდის აღწერა.

6 ლარი

კათედრის გამგის პორტფოლიო

კათედრის გამგის პორტფოლიო საშუალებას აძლევს კათედრის გამგეს აღრიცხოს, გააფორმოს, აღწეროს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული საქმიანობები. შესავსები სქემების, ცხრილებისა და კათედრის სხდომის ოქმების გარდა, პორტფოლიო შეიცავს მეთოდურ რეკომენდაციებს, რაც დაეხმარება კათედრის ხელმძღვანელს პორტფოლიოს წარმოებაში და მისი საქმიანობის განხორციელებაში.

6 ლარი

ინოვაციური გაკვეთილები დაწყებით კლასებში

წიგნში თავმოყრილია დაწყებითი კლასებისთვის აქტუალური სწავლების მეთოდების გამოყენებით შექმნილი გაკვეთილის სცენარები ქართულში, მათემატიკაში და ბუნებაში. სახელმძღვანელო დაეხმარება მასწავლებელს მოსწავლეებს განუვითაროს: წიგნიერების, მედიაწიგნიერების, მათემატიკური წიგნიერებისა და კვლევითი უნარები, კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნება.

6 ლარი 50 თეთრი

მასწავლების ბიბლიოთეკა
წიგნის თვალი

ოფიციალური დოკუმენტი

საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სოციალური პროგრამის ფარგლებში იმ სტუდენტების სახელმწიფო სასწავლო გრანტით დაფინანსების ოდენობისა და პირობების განსაზღვრის შესახებ, რომლებიც ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე სწავლობენ აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე

2016-2017 სასწავლო წლისთვის, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სოციალური პროგრამის ფარგლებში დაფინანსებისთვის გამოყოფილია 2 520 000 (ორი მილიონ ხუთას ოცი ათასი) ლარი იმ სტუდენტებისთვის, რომლებიც ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე სწავლობენ აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე.

სოციალური პროგრამის ფარგლებში სახელმწიფო სასწავლო გრანტით დაფინანსების ოდენობა და პირობები განისაზღვრა საქართველოს მთავრობის 2016 წლის 7 ივლისის **№310 დადგენილებით**.

სოციალური პროგრამის ფარგლებში სახელმწიფო დაფინანსების მოსაპოვებლად სტუდენტი წარადგენს განცხადებას, რომლის ფორმა და წარსადგენი დოკუმენტაციის ნუსხა დამტკიცებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 25 ივლისის **№585 ბრძანებით**.

დაფინანსების მისაღებად, განცხადება თანდართულ დოკუმენტებთან ერთად, წარდგენილი უნდა იყოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში ან შესაბამის ტერიტორიულ ორგანოში – საგანმანათლებლო რესურსცენტრში 2016 წლის 3 ოქტომბრის ჩათვლით.

ვინ შეიძლება მოიპოვოს დაფინანსება სოციალური პროგრამის ფარგლებში:

I. სოციალური პროგრამის ფარგლებში 1 920 000 (ერთი მილიონ ცხრაას ოცი ათასი) ლარი გამოყოფილია იმ სტუდენტების დაფინანსებისთვის, რომლებიც 2016 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე სწავლობენ აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე და განეკუთვნებიან შემდეგ კატეგორიას:

ა) 206 სტუდენტი, რომლებიც ბოლო სამი წლის განმავლობაში სწავლობდნენ და სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი მიიღეს მაღალმთიან და ეკოლოგიური მიგრაციის რეგიონებში არსებულ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში, აქედან:

ა.ა) მესტიის მუნიციპალიტეტში – 12 სტუდენტი;
ა.ბ) ლენტეხის მუნიციპალიტეტში – 10 სტუდენტი;
ა.გ) ონის მუნიციპალიტეტში – 10 სტუდენტი;
ა.დ) ქედის მუნიციპალიტეტში – 18 სტუდენტი;
ა.ე) ხულოს მუნიციპალიტეტში – 24 სტუდენტი;
ა.ვ) შუახევის მუნიციპალიტეტში – 18 სტუდენტი;
ა.ზ) ყაზბეგის მუნიციპალიტეტში – 10 სტუდენტი;
ა.თ) დუშეთის მუნიციპალიტეტში (ბარისახოს, შატილის, ქვეშეთის, მლეთის, მაღაროსკარისა და გუდამაყრის სკოლებში) – 10 სტუდენტი;
ა.ი) ადიგენის მუნიციპალიტეტში – 15 სტუდენტი;
ა.კ) ახალქალაქის მუნიციპალიტეტში – 10 სტუდენტი;
ა.ლ) ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში – 6 სტუდენტი;
ა.მ) წალკის მუნიციპალიტეტში – 13 სტუდენტი;
ა.ნ) დმანისის მუნიციპალიტეტში – 16 სტუდენტი;
ა.ო) ახმეტის მუნიციპალიტეტში – 24 სტუდენტი (მათ შორის, პანკისის ხეობის სკოლებში - 14 სტუდენტი; ზემო და ქვემო ალვანის სკოლებში – 10 სტუდენტი);
ა.პ) ასპინძის მუნიციპალიტეტში – 10 სტუდენტი.

ბ) 170 სტუდენტი, რომლებიც ბოლო ორი წლის განმავლობაში სწავლობდნენ და სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი მიიღეს „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ ოკუპირებულ ტერიტორიაზე არსებულ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში, ან რომელთა სრული ზოგადი განათლების აღიარება მოხდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესით; ასევე სტუდენტები, რომლებიც 2008 წლის 7 აგვისტომდე, ბოლო ერთი წლის განმავლობაში სწავლობდნენ ოკუპირებულ ტერიტორიაზე, ხოლო სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი მიიღეს ოკუპირებული ტერიტორიის ფარგლებს გარეთ, აქედან:

ბ.ა) აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში, მათ შორის, აჟარის მუნიციპალიტეტში – 90 სტუდენტი;
ბ.ბ) ცხინვალის რეგიონში (ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიები), მათ შორის, ქურთის, ერედვისა და ახალგორის მუნიციპალიტეტებში – 75 სტუდენტი;
ბ.გ) საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ პერევში – 5 სტუდენტი.

გ) 15 სტუდენტი, რომლებიც ბოლო სამი წლის განმავლობაში სწავლობდნენ და სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი მიიღეს აზერბაიჯანულენოვან ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში.

დ) 15 სტუდენტი, რომლებიც ბოლო სამი წლის განმავლობაში სწავლობდნენ და სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი მიიღეს სომხურენოვან ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში.

ე) 26 სტუდენტი, რომლებიც არიან საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლებში დაღუპულთა და უგზო-უკვლოდ დაკარგულთა შვილები.

ვ) 5 სტუდენტი, რომლებიც არიან კომუნისტური რეჟიმის დროს საქართველოდან დეპორტირებული სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობის შთამომავლები.

ზ) 50 სტუდენტი, რომლებიც არიან ობოლნი (გარდაცვლილი ჰყავთ დედ-მამა).

თ) 100 სტუდენტი, რომლებიც არიან მრავალშვილიანი ოჯახის (ოთხი და მეტი შვილით) წევრები.

ი) 30 სტუდენტი, რომლებიც არიან მკვეთრად/მნიშვნელოვნად/ზომიერად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები.

კ) 50 სტუდენტი, რომლებიც ბოლო სამი წლის განმავლობაში სწავლობდნენ და სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი მიიღეს საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებთან გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში არსებულ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში.

ლ) 16 სტუდენტი, რომლებიც იმყოფებიან სახელმწიფო ზრუნვის ქვეშ (სააღმზრდელო საქმიანობის განმახორციელებელთან ან მინდობით აღზრდაში) ან გასული არიან სახელმწიფო ზრუნვიდან ბოლო სამი წლის განმავლობაში და იმყოფებოდნენ სახელმწიფო ზრუნვის ქვეშ მინიმუმ ორი წლის განმავლობაში.

მ) 170 სტუდენტი, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში და მათი ოჯახების სარეიტინგო ქულა ტოლი ან ნაკლებია 70 000-ზე.

II. სოციალური პროგრამის ფარგლებში ასევე დაფინანსდებიან აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე 2014 ან 2015 წლების ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე ჩარიცხული სტუდენტები, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში და მათი ოჯახების სარეიტინგო ქულა ტოლი ან ნაკლებია 70 000-ზე, აქედან:

ა) 300 000 (სამასი ათასი) ლარი გამოყოფილია 2014 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე ჩარიცხული სტუდენტების დაფინანსებისთვის.

ბ) 300 000 (სამასი ათასი) ლარი გამოყოფილია 2015 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე ჩარიცხული სტუდენტების დაფინანსებისთვის.

თუ პროგრამით გათვალისწინებული თანხა სრულად არ გაიცა დადგენილებით განსაზღვრული კატეგორიების მიხედვით, დაფინანსდებიან:

საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში დაღუპულთა და უგზო-უკვლოდ დაკარგულთა შვილები, რომლებიც ჩარიცხული არიან 2012-2015 წლების ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად და ვერ მოიპოვეს გრანტის სრული ოდენობა ან მოიპოვეს გრანტის ნაწილობრივი ოდენობა;

მკვეთრად/მნიშვნელოვნად/ზომიერად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, რომლებიც ჩარიცხული არიან 2012-2015 წლების ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად და ვერ მოიპოვეს გრანტის სრული ოდენობა ან მოიპოვეს გრანტის ნაწილობრივი ოდენობა, მათ შორის, სოციალური პროგრამის ფარგლებში;

ობოლი (გარდაცვლილი ჰყავთ დედ-მამა) სტუდენტები, რომლებიც ჩარიცხული არიან 2012-2015 წლების ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად და ვერ მოიპოვეს გრანტის სრული ოდენობა ან მოიპოვეს გრანტის ნაწილობრივი ოდენობა, მათ შორის, სოციალური პროგრამის ფარგლებში.

იმ შემთხვევაში, თუ კატეგორიაში/ქვეკატეგორიაში შემავალი სტუდენტების რაოდენობა აღემატება ამ კატეგორიისთვის/ქვეკატეგორიისთვის გამოყოფილი ადგილების რაოდენობას, თანხა გაიცემა ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების აბსოლუტური ქულებით რანჟირების სიის საფუძველზე.

საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში მაგისტრატურის აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხული მაგისტრანტების სოციალური პროგრამის ფარგლებში სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტით დაფინანსების ოდენობა და პირობები

2016-2017 სასწავლო წელს საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში მაგისტრატურის აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხულ მაგისტრანტთა სოციალური პროგრამის ფარგლებში სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტით დაფინანსებისთვის გამოყოფილია 205 000 (ორას ხუთი ათასი) ლარი.

სოციალური პროგრამის ფარგლებში სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტით დაფინანსების ოდენობა და პირობები განისაზღვრა საქართველოს მთავრობის 2016 წლის 7 ივლისის **№311 დადგენილებით.**

სოციალური პროგრამის ფარგლებში სახელმწიფო დაფინანსების მოსაპოვებლად მაგისტრანტი წარადგენს განცხადებას, რომლის ფორმა და წარსადგენი დოკუმენტაციის ნუსხა დამტკიცებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 25 ივლისის **№584 ბრძანებით.**

დაფინანსების მისაღებად განცხადება თანდართულ დოკუმენტებთან ერთად საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში წარდგენილი უნდა იყოს 2016 წლის საერთო სამაგისტრო გამოცდების საბოლოო შედეგების გამოქვეყნებიდან 2016 წლის 17 ოქტომბრის ჩათვლით.

ვინ შეიძლება მოიპოვოს დაფინანსება სოციალური პროგრამის ფარგლებში:

სოციალური პროგრამით გათვალისწინებული თანხა გადანაწილდება უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში მაგისტრატურის აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე 2015 ან 2016 წლის საერთო სამაგისტრო გამოცდების შედეგად ჩარიცხული შემდეგი კატეგორიის მაგისტრანტების დაფინანსებისათვის:

ა) 22 500 (ოცდაორი ათას ხუთასი) ლარი მაგისტრანტებისათვის, რომლებიც არიან საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლებში დაღუპულთა და უგზო-უკვლოდ დაკარგულთა შვილები.

ბ) 22 500 (ოცდაორი ათას ხუთასი) ლარი მაგისტრანტებისათვის, რომლებიც არიან მკვეთრად/მნიშვნელოვნად/ზომიერად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები.

გ) 160 000 (ას სამოცი ათასი) ლარი მაგისტრანტებისათვის, რომლებიც რეგისტრირებული არიან სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში და მათი ოჯახების სარეიტინგო ქულა ტოლი ან ნაკლებია 70 000-ზე.

პროფესიული განვითარება

მასშტაბური პროექტის პირველი ნაბიჯები

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი

ათასწლეულის გამოწვევის ფონდის პროექტის „მასწავლებელთა და დირექტორთა პროფესიული განვითარება“ ფარგლებში დირექტორთა პროფესიული განვითარების გრძელვადიანი პროგრამის განხორციელება დაიწყო. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ შემუშავდა შესაბამისი ტრენინგ მოდულები და საკითხავი მასალა, ლიდერობის აკადემიის პირველი საფეხურის ტრენინგი 1400-მა დირექტორმა გაიარა.

ლიდერობის აკადემია სამ ეტაპად განხორციელდება სხვადასხვა მოდულებით, რომლებიც საერთო ჯამში 160 საკონტაქტო საათისგან შედგება. პროგრამა ტრენინგის შემდგომი აქტივობების დაგეგმვასაც გულისხმობს, მაგალითად, კვარტალური შეხვედრების სახით, სადაც დირექტორები ერთმანეთს საკუთარ გამოცდილებას გაუზიარებენ და მიიღებენ დამატებით უკუკავშირს. ლიდერობის აკადემია 1-ის განსახორციელებლად ამჯერად თბილისში, თელავსა და წყალტუბოში 5 ლოკაცია შეირჩა და ხუთი დღის განმავლობაში, დირექტორები ორგანიზებულად მონაწილეობდნენ ტრენინგებში. სულ მალე, ამავე პროექტის ფარგლებში, ტრენინგები მასწავლებლისთვისაც დაიწყება და პირველი ნაკადი 9 ათას პედაგოგს მოცავს. საერთო ჯამში, პროექტის ფარგლებში, 18 000-ზე მეტი ქიმიის, ფიზიკის, ბიოლოგიის, ინგლისურის, მათემატიკისა და გეოგრაფიის მე 7-12 კლასების მოქმედი მასწავლებელი გადამზადდება. ვინ იქნება პროექტის სამიზნე ჯგუფი, რა მოდულებს გაივლიან მასწავლებლები და როგორ გაგრძელდება ლიდერობის აკადემიის შემდეგი ეტაპები – გვესაუბრება მასწავლებელთა და სკოლის დირექტორთა პროფესიული განვითარების პროგრამის მენეჯერი ირინა აბულაძე

– მასწავლებელთა და სკოლის დირექტორთა პროფესიული განვითარების პროექტის ფარგლებში „ლიდერობის აკადემია 1“ ამოქმედდა. წელს საჯარო სკოლების დირექტორების უმეტესობა ახალ სასწავლო წელს გადამზადებული შეხვდა. როგორ წარიმართა ტრენინგების პროცესი და რა იგეგმება სამომავლოდ?

– ძალიან მნიშვნელოვანია, რომ 1400 დირექტორი, ჩვენი პროგრამის ფარგლებში, ახალი სასწავლო წლის დაწყებას გადამზადებული შეხვდა - მათ ინტენსიური პროგრამა – ლიდერობის აკადემია 1 – გაიარეს. დარწმუნებული ვარ, პროექტში ჩართული დირექტორების უმრავლესობა სასწავლო წლის დაწყებას მოტივირებულები ხვდება და ჩვენთან თანამშრომლობის საფუძველზე ახლებურად გააანალიზებს მოსწავლეზე ორიენტირებულ გარემოს. თუმცა ეს ჯერ მხოლოდ დასაწყისია.

დირექტორების ის ნაწილი, რომელიც პირველ ნაკადში ვერ მოხვდა, ტრენინგებს ეტაპობრივად, სასწავლო წლის დაწყების შემდეგ გავლიან და ოქტომბრის ბოლოსთვის 1800-მდე გადამზადებული დირექტორი გვეყოლება ლიდერობის პირველი აკადემიის პროგრამით.

როგორც გითხარით, ტრენინგები რამდენიმე ნაკადად წარიმართა და, საერთო ჯამში, 15 აგვისტოდან 3 სექტემბრის ჩათვლით, 1400-მდე დირექტორმა ლიდერობის აკადემიის პირველი საფეხური გაიარა. აკადემია 1 სამი მოდულისგან შედგებოდა და ისეთი თემები მოიცვა, როგორიცაა: 21-ე საუკუნის სკოლის მახასიათებლები – ფინანსური, ადამიანური მართვა და ჯგუფების მართვა სკოლის დონეზე; ეფექტური დირექტორი თეორიიდან პრაქტიკამდე, სადაც, ზოგადად, ლიდერობის თემა იყო წამყვანი. აკადემია 1-ის 40-საათიანი მოდულების მიზანია, დირექტორებთან ერთად, საბოლოოდ ჩამოვყალიბდეთ, როგორი უნდა იყოს 21-ე საუკუნის სკოლა, რომელიც თანაბრად ხელმისაწვდომია ყველასთვის და ქმნის გარემოს, სადაც ყველა მოსწავლეს თვითრეალიზების და გამოხატვის შესაძლებლობა აქვს. ეს მოდულები, ასევე, მოიცავს თემატიკას, როგორია წარმატებული ლიდერი და როგორია ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის ლიდერი. ჩვენი აქცენტიც სწორედ იმაზეა, დირექტორი საგანმანათლებლო პროცესის ლიდერად ვაქციოთ, რომ მხოლოდ მენეჯმენტზე არ იყოს ფოკუსირებული. დირექტორი უნდა ხედავდეს სურათს, საით წაიყვანოს სკოლა და როგორ. ასევე, კარგად უნდა ჰქონდეს გააზრებული და იცოდეს, როგორ მოახდინოს გეგმებისა და სტრატეგიების მონიტორინგი, რომელსაც სკოლაში ნერგავს.

ლიდერობის აკადემიის პირველი საფეხურის შემდეგ, ადგილობრივად ჩატარდება კვარტალური შეხვედრები, რომლის ორგანიზება უკვე მიმდინარეობს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ დირექტორებმა, რომლებმაც გაიარეს აკადემია 1-ით გათვალისწინებული მოდულები, მიეცათ კონკრეტული დავალებები – მიღებული ცოდნა თავიანთი სკოლის კონტექსტში გადაიტანონ. ამის განსახორციელებლად ისინი აღიჭურვნენ კონკრეტული ინსტრუმენტებით და ყველა იმ დამხმარე მასალით, რაც შეიძლება დასჭირდეთ. კვარტალური შეხვედრები, ჩვენი ფასილიტაციით, ტრენინგის დასრულებიდან, დაახლოებით, ერთი თვის შემდეგ გაიმართება. კოლეგები ერთმანეთს გაუზიარებენ, როგორ მოახდინეს სკოლის დონეზე კონკრეტული სტრატეგიების დანერგვა, რა პრობლემები გამოიკვეთა პროცესში ან ზოგადად რა გამოცდილება აქვთ. ჩვენი აზრით, ეს ძალიან მნიშვნელოვანი და, ამავე დროს, ერთ-ერთი ახალი მიდგომაა – უზრუნველვყოთ, როგორ მოახდინოს ტრენინგის მონაწილემ (იქნება დირექტორი თუ მასწავლებელი) ტრენინგებზე მიღებული ცოდნის სამუშაო გარემოსთან დაკავშირება. დირექტორებისგან უკუკავშირს ვაგროვებთ. უმეტესობა აღნიშნავს, რომ ძალიან პრაქტიკული სამუშაოებია, მჭიდრო კავშირშია სინამდვილესთან, და რაც მთავარია, ამბობენ, რომ ეს ყველაფერი დაეხმარებათ საქმიანობაში.

– როგორ აპირებთ უნიფიცირებული მეთოდით 2085 დირექტორის გადამზადებას მაშინ, როცა ვიცით, რომ კონტექსტი სრულიად განსხვავებულია ერთმანეთისგან, მაგალითად, თბილისის და რეგიონის სკოლების და ა.შ.?

– მოდულების შექმნის დროს სწორედ ამას მივაქციეთ ყურადღება. სასწავლო მიზნები განსაზღვრულია ისე, რომ შესაძლებელი იყოს ზოგად ტენდენციებსა და კომპეტენციებზე აქცენტის გაკეთება. თუმცა ის დეტალები, რომლებიც კონტექსტის მიხედვით შეიძლება განსხვავდებოდეს, ტრენინგის მსვლელობისას სხვადასხვა მაგალითებით, ე.წ. ქეისებისა თუ შემთხვევების მაგალითით განიხილება, რათა ყველა დირექტორმა, რომელიც იმ ჯგუფში მონაწილეობს, მისთვის სასარგებლო და შესატყვისი ინფორმაცია მიიღოს. შესაძლოა ეს იყოს მცირეკონტინგენტიანი სკოლის დირექტორი ან დირექტორი, რომელსაც განსხვავებული თემი ჰყავს – სადღაც მეტად არის მშობელი ჩართული, სადღაც ნაკლებად. მიუხედავად ამისა, ყველას მაინც ზოგად პრინციპებზე უწევს შეთანხმება, უფრო კონკრეტულ საკითხებზე მუშაობა შემდგომ ჯგუფებში მიმდინარეობს, ინდივიდუალურ შემთხვევებსა და კონტექსტებზე ჩაღრმავება კი კვარტალურ შეხვედრებზე გრძელდება .

– როდის გაგრძელდება ლიდერობის აკადემია 1 დარჩენილი დირექტორებისთვის და როდის იგეგმება მეორე ეტაპის დაწყება?

– აკადემია პირველის ტრენინგები სექტემბრის მეორე ნახევრიდან გაგრძელდება, მათთვის, ვინც პირველ ნაკადში ვერ მოხვდა. საბოლოო ჯამში, ყველა დირქტორს მიეცემა საშუალება, გაიაროს ლიდერობის აკადემიის პირველი საფეხუროს მოდულები, გარდა ეროვნული უმცირესობების სკოლების დირექტორებისა. ტრენინგები ცოტა მოგვიანებით დაიწყება, რადგანაც ჯერ მასალები უნდა ითარგმნოს და მომზადდეს მათთვის ხელმისაწვდომ ენებზე, ასევე, უნდა გადავამზადოთ ტრენერები, რომლებიც ჩაატარებენ ეროვნული უმცირესობების სკოლის დირექტორებისთვის ორენოვან ტრენინგებს ან ტრენინგებს თარჯიმნის დახმარებით, იქ სადაც ეს საჭირო გახდება. ამას კი, დამეთანხმებით, დამატებითი დრო და ძალისხმევა სჭირდება, ამიტომაც მათთვის ლიდერობის აკადემია რამდენიმე თვის შემდეგ ამოქმედდება. შესაბამისად, ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელი დირექტორები აკადემიის პირველ ეტაპს 2017 წელს გაივლიან და შეძლებენ ნაბიჯ-ნაბიჯ მიჰყვნენ ქართულენოვან სკოლებს.

ლიდერობის აკადემია 2 მას შემდეგ დაიწყება, რაც აკადემია 1 მთლიან ციკლს დაასრულებს ქართულენოვანი სკოლებისთვის, ვგულისხმობ ტრენინგებს და კვარტალურ შეხვედრებს. ლიდერობის აკადემია 2 საკმაოდ მსხვილი საფეხურია და მოიცავს თემებს: სასწავლო თემის განვითარება, ლიდერობა და თანამშრომლობა მასწავლებლებთან, სწავლების მენტორობა, გაზიარებული ლიდერობა, ზრდასრულთა განათლების პრინციპები და სხვ. ლიდერობის აკადემიის მეორე საფეხურზე აქცენტი გაკეთებულია თანასწორობის საკითხებზე, რაც სკოლის დონეზე მრავალფეროვანი კონტექსტის მართვას გულისხმობს, თავისთავად, ეს უკავშირდება როგორც მასწავლებელს, ისე მოსწავლეს. დირექტორმა სკოლაში უნდა შექმნას ისეთი გარემო, სადაც ყველა თანაბრად იქნება ორიენტირებული განვითარებაზე. ტრენინგები მათ დაეხმარებათ, ახალიც ისწავლონ და რაც იციან, ისიც გააანალიზონ. რაც მთავარია, სახვადასხვა სტრატეგიებისა თუ ინსტრუმენტების მიწოდებით დირექტორებს სკოლის მართვას გავუმარტივებთ.

ლიდერობის აკადემია 2 დაიწყება 2016 წლის დეკემბრიდან და 2017 წლის ზაფხულში დასრულდება, მესამე ეტაპს – ლიდერობის აკადემია 3 – კი ქართულენოვანი დირექტორები 2018 წლის ზაფხულში დაასრულებენ. არაქართულენოვანი დირექტორებისთვის აკადემიის დასრულებას 2018 წლის ბოლოს ან 2019 წლის დასაწყისში ვგეგმავთ. ყოველი საფეხურის ბოლოს დირექტორები სერტიფიკატს მიიღებენ.

– შესაძლოა ცვლილებები განხორციელდეს და არსებული კადრები, სხვადასხვა მიზეზის გამო, ახალი დირექტორებით ჩანაცვლდნენ. რა მოხდება ამ შემთხვევაში?

– ჩვენ ამისთვისაც მზად ვართ ტექნიკურადაც და ფინანსურადაც, რადგან ბიუჯეტში გათვალისწინებულია ახალი კადრებით დაკომპლექტებული ჯგუფების მომზადება. თუმცა შესაძლოა, გაჩნდეს კითხვა, მოესწრება თუ არა, პროექტის დასრულებამდე მათი მომზადების ბოლომდე მიყვანა. ამაზე შემიძლია გითხრათ, რომ პროექტი სწორედ ამიტომ ხორციელდება სახელმწიფო სტრუქტურასთან ერთად და სამინისტროსთან თანამშრომლობით, რომ ის შემდგომში სახელმწიფომ გააგრძელოს. პროგრამა მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის ბაზაზე გაგრძელდება და ის დირექტორები, რომლებმაც გვიან დაიწყეს, ზუსტად იმავე რესურსების გამოყენებით დაასრულებენ ლიდერობის აკადემიას.

– იგეგმება მასწავლებელთა ტრენინგებიც. უფრო კონკრეტულად, ვინ არის სამიზნე ჯგუფი, როდის დაიწყება და რა მოდულებს გაივლიან პედაგოგები?

– რაც შეეხება მასწავლებლებს, ჩვენი პროექტის სამიზნე

პროფესიული განვითარება

ჯგუფი 18 ათასზე მეტი მასწავლებელია – VII-XII კლასების ქიმიის, ფიზიკის, ბიოლოგიის, მათემატიკის, ინგლისურისა და გეოგრაფიის პედაგოგები. დამუშავებულია მათი მონაცემთა ბაზა, მასწავლებლები ორ ნაკადად გაიყოფიან და პირველი ნაკადი – 9 ათასზე მეტი მასწავლებელი – ტრენინგებს ოქტომბრიდან დაიწყებს. პედაგოგები დეტალურ ინფორმაციას რესურსცენტრების მეშვეობით მიიღებენ. რეგიონულად შერჩეულია 65 პარტნიორი სკოლა, სადაც ტრენინგები ჩატარდება. სკოლები იმ ნიშნით შევარჩიეთ, რომ ადვილად მისადგომი იყოს მიმდებარე სკოლების მასწავლებლებისათვის, ისიც გავითვალისწინეთ, რომ სკოლას პარალელურ რეჟიმში შეეძლოს რამდენიმე ჯგუფის მიღება. ტრენინგები მიყოლებით ოთხ შაბათ-კვირას ჩატარდება.

მასწავლებლების მომზადების პროგრამაც გრძელვადიანია და გულისხმობს 36 საკონტაქტო საათს ზოგად უნარებში, შემდეგ კი საგნობრივ მეთოდიკას, აქტიურ სწავლებას. მასწავლებლებს ზოგად პროფესიულ უნარებში ექნებათ სამი მოდული, თითოეული 12-საათიანია, მოდულებს შორის კი სასწავლო შეხვედრები გაიმართება სკოლებში. ყოველი მოდულის ჩატარების შემდეგ განიხილავენ იმ შედეგებს, რაც სკოლებში მიიღეს.

რაც შეეხება ვადებს – პირველი ნაკადის მასწავლებლები პროფესიული უანარებისა და საგნობრივი მეთოდიკის სრულ კურსს მომავალი წლის ზაფხულში დაასრულებენ. სექტემბრიდან კი ტრენინგები მეორე ნაკადის მასწავლებლებისთვის დაიწყება. საკმაოდ მასშტაბური პროექტია, რადგან მასწავლებელთა რაოდენობაც და გეოგრაფიაც დიდია, ამიტომ პარალელურ რეჟიმში ვერ შევძლებთ მეორე ნაკადის გადამზადებას. პირველ ნაკადთან, დაახლოებით, 130 ტრენერი იმუშავებს. მეორე ნაკადის გადამზადება, როგორც გითხარით, 2017 წლის სექტემბერში დაიწყება და 2018 წლის ზაფხულში დასრულდება. პროექტის შემდეგი პერიოდი სასწავლო შეხვედრების რეჟიმში გაგრძელდება. ასევე გათვალისწინებული გვაქვს ლაბორატორიებში მომუშავე მასწავლებლების ტრენინგები. როგორც იცით, ათასწლეულის გამოწვევის ფონდი საქართველოში სკოლების კონკრეტული რაოდენობის ლაბორატორიებით აღჭურვას იწყებს. სამინისტროს აქვს გეგმა, რომ ეს პროცესი გააგრძელოს და დანარჩენი სკოლებიც იმავე სტანდარტებით აღჭურვოს ლაბორატორიებით. პროექტის დასრულებამდე გადამზადდებიან ის მასწავლებლები, ვისაც ლაბორატორიებში მოუწევს მუშაობა. ამ მიმართულებით, სექტემბერში, უცხოელი კონსულტანტის მიერ, ტრენერთა ტრენინგიც იგეგმება. შემოდგომაზე დავიწყებთ მასწავლებლების გადამზადებას ლაბორატორიების უსაფრთხოების ნაწილში. ეს არის გაიდლაინი მასწავლებლებისათვის იმ უსაფრთხოების წესებზე, რომელიც ლაბორატორიებში უნდა დაიცვან.

ტრენინგები 15 ოქტომბრიდან დაიწყება. ინფორმაციას იმის შესახებ, რომელ ნაკადში და რომელ სკოლაში გაივლიან ტრენინგს მასწავლებლები, სასწავლო პროცესის დაწყების შემდეგ, რესურსცენტრების მეშვეობით მიიღებენ.

– რა პრინციპით შეარჩიეთ ის 9 ათასი მასწავლებელი, რომელიც პირველ ნაკადში მოხვდა?

– პირველი ნაკადის დაკომპლექტებისას ძირითადად ყურადღებას საგნობრივ დაჯგუფებას ვაქცევდით, თუმცა შერეული ჯგუფებიც გვაქვს, რადგან პირველი ეტაპის ტრენინგები მაინც უფრო მეტად ზოგად პროფესიული ხასიათისაა და გულისხმობს მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომების და შესაბამისი ინსტრუმენტების დანერგვის მიმართულებას. ჯგუფები შერეულია მასწავლებლების სტატუსის თვალსაზრისითაც, არიან როგორც პრაქტიკოსები, ისე უფროსი და წამყვანი პედაგოგები. შესაბამისად, ჩვენთვის ამოსავალი მაინც იყო: საგანი, რეგიონი და ლოკაციები – სკოლები, რომ ეს ადამიანები დაგვეჯგუფებინა შესაბამისად. როგორც გითხარით, ჯგუფები შერეულია და დაკომპლექტებულია მაქსიმალურად ისე, რომ საგნები ერთმანეთთან იყოს მიმაგრებული, რადგან მათ სასწავლო შეხვედრებზე მუშაობა უფრო გაუმარტივდეთ. ყველა სატრენინგო ჯგუფში ჩასმულია ფასილიტატორი. პროგრამის ფარგლებში, სკოლებს ვთხოვეთ, წარმოედგინათ პროგრამის ფასილიტატორი – ადამიანი, რომელიც სკოლაში იმ საგნებს ასწავლის, რომელიც პროგრამის სამიზნე ჯგუფია. ამასთან ერთად, წარმოდგენილ ფასილიტატორს მაღალი რეპუტაცია აქვს, შეუძლია პროგრამასთან ითანამშრომლოს და მასწავლებლებს ტრენინგის შემდგომი აქტივობების სკოლებში გადატანაში დაეხმაროს. შესაბამისად, ეს ადამიანები – პროგრამის ფასილტატორები სასწავლო ჯგუფებსაც გაუძღვებიან ტრენინგის შემდეგ და ჩვენთან მუდმივ კომუნიკაციაში იქნებიან, დააკვირდებიან, როგორ მიმდინარეობს სკოლებში პროცესები. სკოლაში თითო ფასილიტატორი მაინც უნდა იყოს, აქედან გამომდინარე, დაახლოებით, 2085 ფასილიტატორს მოვამზადებთ, რომლებიც, კიდევ დავაკონკრეტებ, ამ ექვსი საგნიდან ერთ-ერთს წარმოადგენს. ფასილიტატორები ტრენინგებს დირექტორებთან ერთად გაივლიან და, ფაქტობრივად, მათი დამხმარეები იქნებიან სკოლაში 21-ე საუკუნის მახასიათებლების გარემოს შექმნაში.

შემიძლია გითხრათ, რომ მასწავლებელთა პირველ ნაკადში ყველა საგნის და რეგიონის პედაგოგი მოხვდა, თუმცა აქცენტი რაოდენობრივად მაინც ისეთ რეგიონებზე გაკეთდა, სადაც უფრო მრავალრიცხოვანია ამ საგნების მასწავლებლების რაოდენობა. არ გამოვრიცხავთ, რომ შეიძლება ნაკადებში ცვლილებები განხორციელდეს მონაცემების რესურსცენტრებში გაგზავნის შემდეგ. პროექტის ფარგლებში შეთავაზებული პროფესიული განვითარების საშუალებით 2019 წლისათვის ყველა მე 7-12 კლასების ფიზიკის, ქიმიის, ბიოლოგიის, მათემატიკის, ინგლისურისა და გეოგრაფიის მოქმედი მასწავლებელი ისარგებლებს, მიუხედავად მათი სტატუსისა და რეგიონული ადგილმდებარეობისა.

ესაუბრა ლალი ჯელაძე

ინკლუზიური განათლება

მემორანდუმი ყრუ პირთა ხარისხიანი განათლების ხელშესაწყობად

ლალი ჯელაძე

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულმა ცენტრმა საქართველოს ყრუთა კავშირთან ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გააფორმა. ღონისძიებას ყრუთა თემის, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

მემორანდუმის მიზანი ყრუ პირთა ხარისხიანი განათლების, დასაქმებისა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში სრულფასოვანი ინტეგრაციის ხელშეწყობაა, ასევე ჟესტური ენის განვითარება და სწავლება, როგორც ყრუ პირებისთვის, ასევე ნებისმიერი სმენის მქონესთვის, ვინც ყრუ პირთან ამყარებს კომუნიკაციას.

საქართველოს ყრუთა კავშირის პრეზიდენტმა, **ამირან ბატატუნაშვილმა** განაცხადა, რომ ჟესტური ენის განვითარებას ათეულობით წელი ელოდებოდნენ: *„ჟესტური ენის განვითარებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს, რადგან ეს პირდაპირ ნიშნავს სწავლების მხარდაჭერას, ასევე, პედაგოგებისა და თარჯიმნების გადამზადებას. მთელი ცხოვრება, აქამდე, აბსოლუტურად გაუგებარი იყო მათთვის სასწავლო პროცესში მონაწილეობა. თქვენ წარმოგიდგენიათ, რომ მხოლოდ ბაგეებიდან ამოკითხვის მეთოდოლოგია იყო სასწავლო პროცესში ჩართული, რაც იმას ნიშნავდა, რომ სრულყოფილად ინფორმაციას ვერ იღებდნენ. დღეს კი ჟესტური ენა განათლების სამინისტროსგან აღიარებულია როგორც სასწავლო ენა. ძალიან დიდხანს, ათეული წლები ველოდებოდით ამ დღეს. ჟესტური ენა ვითარდება და ჩვენი სმენადაქვეითებული ბავშვები ძალიან ბედნიერები არიან.“*

მემორანდუმის ფარგლებში, მხარეები უზრუნველყოფენ ჟესტური ენის სწავლებისთვის საჭირო ტრენინგ-მოდულების შემუშავებას და ჩატარებას.

მარიკა ზაქარეიშვილი, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინკლუზიური პროფესიული განათლების პროექტის დირექტორი: *„დღეს გაფორმდა მემორანდუმი ყრუთა კავშირსა და მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრს შორის. ამ პროცესში ჩართულია განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, მისი როლი დაფინანსების საკითხის მოგვარება იყო, ხოლო შინაარსობრივი ნაწილის – მეთოდოლოგია, ჯგუფების შექმნა და ა.შ. – ორგანიზება მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრს აკისრია.“*

მემორანდუმის ხელმოწერის ღონისძიებაზე ცენტრის ტრენერებმა გააკეთეს პრეზენტაციები ცენტრის მიერ ჟესტური ენის სწავლების ხელშეწყობისთვის განხორციელებული აქტივობების შესახებ. 2015 წელს, ნორვეგიული გრანტის „ინკლუზიური განათლების დანერგვა პროფესიული განათლებისა და გადამზადების სისტემაში“ ფინანსური და მეთოდოლოგიური მხარდაჭერით, ცენტრმა დაასაქმა ჟესტური ენის მცოდნე, მათ შორის ყრუ ტრენერები და შეიმუშავა ჟესტური ენის სასწავლო კურსები. აღნიშნულ კურსებს დაესწრნენ და ჟესტური ენა შეისწავლეს როგორც თავად ყრუ პირებმა, ასევე ყრუ პირების სოციალური გარემოს წარმომადგენლებმა, მასწავლებლებმა, მშობლებმა, ოჯახის სხვა წევრებმა, მეგობრებმა და თანაკლასელებმა. ცენტრმა ასევე მოამზადა ჟესტური ენის თარჯიმნები.

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ინკლუზიური და სპეციალური განათლების კონსულტანტი **ჟანა კვაჭაძე** ამბობს, რომ მართლაც მნიშვნელოვანი დღეა და ეს ყველაფერი ყრუთა განათლების, ჟესტური ენის დანერგვისა და ყრუთა საზოგადოებაში ინტეგრაციის საკითხებს ეძღვნება.

„სახელმწიფოს ამაში გარკვეული პასუხისმგებლობა და როლი აკისრია, მათ შორის მნიშვნელოვანია თითოეული სტრუქტურის როლიც – ყრუთა კავშირისა და ცენტრის. ამიტომაც ჩვენ გადავწყვიტეთ, რომ თანამშრომლობისთვის ოფიციალური სახე მიგვეცა და მემორანდუმი გაგვეფორმებინა. თუმცა, ეს თანამშრომლობა ორი წელია, რაც მიმდინარეობს და, ძირითადად, როგორც გითხარით, ჟესტური ენის ხელშეწყობას ემსახურება.

მასწავლებლის სახლი 2014 წლიდან შეიმუშავებს და ატარებს ჟესტური ენის კურსებს სხვადასხვა სამიზნე ჯგუფისთვის. პირველ რიგში, ესენი არიან ყრუ პირები, რომელთა ჟესტურ ენას განვითარება სჭირდება, რადგან შეიძლება სხვადასხვა მიზეზის გამო ყრუ ადამიანმა ვერ დახვეწა ჟესტური ენა. მას არ ჰქონდა სათანადო გარემო და ამიტომაც აუცილებლად სჭირდება მის ენას განვითარება, ამისთვის კი შეუძლია მოვიდეს მასწავლებლის სახლში და გაიაროს კურსები, რადგანაც მიგვაჩნია, რომ ენა არ ისწავლება შესაბამისი ენობრივი გარემოს გარეშე, ამიტომ მათ მიკროსოციუმსაც – ოჯახის წევრი, თანამშრომელი, თანაკლასელი ან თანაკურსელი – ვთავაზობთ ჟესტური ენის კურსის გავლას მასწავლებლის სახლში. აქედან გამომდნიარე, სხვადასხვა ჯგუფისთვის შევქმენით ჟესტური ენის შემსწავლელი კურსი, მათ შორის თარჯიმნებისთვისაც. მინდა გითხრათ ისიც, რომ მხოლოდ მასწავლებელთა სახლი არ ახორციელებს ამ პროექტებს, მის განხორციელებაში დაგვეხმარა ნორვეგიის გრანტი. გარდა დაფინანსებისა, მათგან ძალიან მნიშვნელოვანი მეთოდოლოგიური მხარდაჭერა და გამოცდილების გაზიარება მივიღეთ. ნებისმიერ საკითხში დიდი მხარდაჭერა გვაქვს ყრუთა კავშირის მხრიდანაც, დაწყებული სატრენინგო სივრცის შერჩევიდან და დამთავრებული ტრენერებისა და მონაწილეების შერჩევით, ყრუთა თემთან დაკავშირებით და ა.შ. დღეს გადავწყვიტეთ, ფართო პუბლიკისთვის გაგვეცნო ჩვენ მიერ განხორციელებული აქტივობები, სამომავალო გეგმები და მიზნები და ჩვენი თანამშრომლობისთვის ასეთი დემონსტრაციული სახე მიგვეცა.“

მემორანდუმის გაფორმების ღონისძებაზე არასამთავრობო ორგანიზაციამ „ბავშვი, ოჯახი, საზოგადოება“ ცენტრს სმენისა და მხედველობის დარღვევის მქონე ბავშვთათვის წერა-კითხვის სასწავლო მასალები გადასცა.

განათლება უცხოეთში

მომავლის ლიდერები ამერიკული გამოცდილებით

FLEX – მომავალ ლიდერთა გაცვლითი პროგრამა 24-ე წელია, რაც საქართველოში წარმატებით ხორციელდება. ყოველწლიურად საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების უფროსკლასელებს ეძლევათ შესაძლებლობა ისწავლონ ამერიკულ სკოლაში და გაეცნონ ამერიკის კულტურას. პროგრამა სრულად ფინანსდება აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ. მისი უპირველესი მიზანია, ამ ორი ქვეყნის ახალგაზრდებს შორის ურთიერთობის გაღრმავება. გვესაუბრება გაცვლითი პროგრამების კოორდინატორი საერთაშორისო განათლების ამერიკული საბჭოების ფილიალი საქართველოში ქრისტი მილორავა

– რამდენი წელია, რაც საქართველოში FLEX - მომავალ ლიდერთა გაცვლითი პროგრამა ხორციელდება, რა არის პროგრამის მიზანი?

– მომავალ ლიდერთა გაცვლითი პროგრამა (FLEX) ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეთათვისაა განკუთვნილი და სრულად ფინანსდება აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ, 1993 წლიდან მოყოლებული. FLEX პროგრამის უპირველესი მიზანია, ამ ორი ქვეყნის ახალგაზრდებს შორის გააღრმავოს ურთიერთგაგება, რის საშულებასაც ახალგაზრდებს პირად გამოცდილებაზე დაყრდნობით აძლევს. ისინი შეისწავლიან აშშ-ს მთავრობის სისტემას, ამერიკული ცხოვრების სტილს, სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობას და სხვა ამერიკულ ღირებულებებს. 1993 წლიდან FLEX-ის გაცვლითმა პროგრამამ დაფინანსება გაუწია საშუალო სკოლის 23 000 მოსწავლეს, სხვა ქვეყნების მონაწილეების ჩათვლით, მათ შორის, დაახლოებით 2000-მდე მონაწილე საქართველოს მოქალაქეა. 2016-2017 წელს 800 სტუდენტი ჩაირიცხა ამერიკაში FLEX-ის პროგრამის ფარგლებში, მათ შორის – ქართველი.

– რატომ უნდა აირჩიონ ქართველმა მოსწავლეებმა FLEX პროგრამა, რით არის განსაკუთრებული და მნიშვნელოვანი?

– FLEX-ის პროგრამა უნიკალური პროგრამაა, რომელიც ქართველ მოსწავლეებს შესაძლებლობას აძლევს, სრულიად უსასყიდლოდ, ერთი აკადემიური წელიწადი ამერიკის შეერთებულ შტატებში გაატარონ. ეს ერთადერთი ფართომასშტაბიანი და ხანგრძლივი გაცვლითი პროგრამაა, რომელსაც ამერიკის მთავრობა სრულად აფინანსებს. მასში მონაწილე მოსწავლეს ეძლევა უნიკალური შანსი, იცხოვროს და ისწავლოს ამერიკულ საზოგადოებაში, საქართველო გააცნოს ამერიკელებს და ღირსეული ამერიკული ღირებულებებით ჩამოვიდეს საქართველოში, რასაც მოგვიანებით ქართველებსაც აცნობს. ამერიკის მთავრობას მნიშვნელოვნად მიაჩნია ახალგაზრდა თაობისთვის მრავალმხრივი შესაძლებლობების შექმნა, რომლებიც განავითარებს მათ გლობალურ პერსპექტივას სახლში, სამსახურსა თუ საერთაშორისო ურთიერთობებში ნათელი მომავლის იმედის გასაძლიერებლად და ამისათვის FLEX ერთადერთი უნიკალური შესაძლებლობაა.

– რა კრიტერიუმებს უნდა აკმაყოფილებდეს პროგრამის მონაწილე, რამდენჯერ შეუძლია მოსწავლეს კონკურსში მონაწილეობა, როდის ცხადდება კონკურსი, რამდენ ტურად და რამდენი ცენტრი იხსნება კონკურსისთვის საქართველოს მასშტაბით?

– FLEX პროგრამაში მონაწილეობის მიღება IX-XI კლასების მოსწავლეებს შეუძლიათ, რომლებიც ასაკობრივ კრიტერიუმებსაც უნდა აკმაყოფილებდნენ, თუმცა, ზოგადად, 14-16 წლის მოზარდებს, ვისაც კარგი აკადემიური მოსწრება აქვთ, ფლობენ ინგლისურს, საშუალო დონეზე მაინც, ამერიკაში არ უცხოვრიათ, ბოლო 5 წლის განმავლობაში, 3 თვეზე მეტხანს და საქართველოს მოქალაქეები არიან, შეუძლიათ საკუთარი შესაძლებლობები კონკურსში მონაწილეობით მოსინჯონ. მოსწავლეს, ასაკობრივი და კლასის შეზღუდვებიდან გამომდინარე, პროგრამის შესარჩევ კონკურსში სამჯერ შეუძლია მონაწილეობა. ხშირადაა შემთხვევები, როცა პირველ ჯერზე წარუმატებელ კანდიდატს მეორე წელს გაუმარჯვია ან ზოგიერთს სამჯერ უცდია ბედი და მესამე ჯერზე გამხდარა პროგრამის ფინალისტი. ხანდახან პირველივე ჯერზე იმარჯვებს ძალიან მონდომებული კანდიდატი და ყველაზე მთავარია, რომ საკუთარი მონდომებით ღირსეული მოსწავლე აუცილებლად ხდება FLEX პროგრამის ფინალისტი.

რაც შეეხება წლევანდელ კონკურსს, ახალი სასწავლო წლის დაწყებისთანავე ცხადდება და მთელ საქართველოს მოიცავს. ტესტირება 11 ქალაქში ტარდება და მასში მონაწილეობა ნებისმიერი რეგიონის წარმომადგენელს შეუძლია. კონკურსი სამ ეტაპადაა დაყოფილი: პირველი ეტაპი მარტივი ინგლისურის ტესტს მოიცავს, რომელშიც 16 შეკითხვაა და 15 წუთში 4 სავარაუდო პასუხს ირჩევს მოსწავლე. ამ ტესტის შედეგები იმ დღესვე კომპიუტერიზებული სისტემის მეშვეობით მონმდება და დღის ბოლოს პირველ რაუნდში გამარჯვებულ მონაწილეთა სია ცხადდება. მეორე ეტაპი მოიცავს მხოლოდ სამ შეკითხვას, რომელზეც მოსწავლემ ესეს სახით უნდა გასცეს პასუხი. მეორე რაუნდში გამარჯვებულები, ერთი თვის შემდეგ, მონაწილეობენ კომპლექსურ მესამე რაუნდში, რომელიც მოიცავს: გასაუბრებას, ჯგუფურ სავარჯიშოს, ინგლისურის ტესტს, ესეს და აპლიკაციას. მონაწილეების ყველა მონაცემი იგზავნება ვაშინგტონში და ღირსეულ კანდიდატებს ამერიკელი დამოუკიდებელი ექსპერტები ირჩევენ. ფინალისტების სია საქართველოში მაისის დასაწყისში ჩამოდის და მის საფუძველზე ეცნობებათ გამარჯვებულ კანდიდატებს თავიანთი მიღწევები. ამ ეტაპების გადალახვის შემდეგ ამერიკაში გასამგზავრებელი ეტაპი იწყება.

2016 წელს FLEX-ის პროგრამის კონკურსი ცხადდება შემდეგ რაიონებში: მარნეული – 21 სექტემბერი, 10:00სთ, მე-5 საჯარო სკოლა; თელავი – 24 სექტემბერი, 10:00სთ, მე-7 საჯარო სკოლა; რუსთავი – 26 სექტემბერი, 10:00სთ, მე-4 საჯარო სკოლა; გორი – 27 სექტემბერი, 10:00სთ, მე-3 საჯარო სკოლა; ბათუმი – 1 ოქტომბერი,10:00სთ, მე-10 საჯარო სკოლა; ქუთაისი – 1 ოქტომბერი, 10:00სთ, მე-3 საჯარო სკოლა; ზუგდიდი – 3 ოქტომბერი, 10:00სთ, №1 საჯარო სკოლა; ბორჯომი – 10 ოქტომბერი, 10:00სთ, მე-3 საჯარო სკოლა; ნინოწმინდა – 10 ოქტომბერი, 10:00სთ, №1 საჯარო სკოლა; ახალციხე – 12 ოქტომბერი, 10:00სთ, მე-5 საჯარო სკოლა; თბილისი – 19 ოქტომბერი (მხოლოდ შშმ მოსწავლეთათვის), 10:00სთ, ამერიკული საბჭოების ოფისი; თბილისი – 22 ოქტომბერი, 10:00სთ, 55-ე საჯარო სკოლა.

დამატებითი ინფორმაციისთვის დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ ეწვიონ ჩვენს ვებგვერდს: **www.americancouncils.ge**

– ინგლისური ენის რა დონეს უნდა ფლობდეს მოსწავლე პროგრამაში მონაწილეობის მისაღებად?

– საშუალო დონის ინგლისურის ცოდნა სრულიად საკმარისია პროგრამაში გასამარჯვებლად. ენის ცოდნა არ არის უმთავრესი პირობა ამ პროგრამაში გასამარჯვებლად და შესაბამისად, ინგლისურის მაღალი დონეც არ არის პროგრამის მოთხოვნა. ენის ცოდნას მხოლოდ პირველ რაუნდში ექცევა ყურადღება, სადაც ტესტის კარგად დასანერად საშუალო დონის ცოდნა საკმარისია, ხოლო ამ რაუნდის შემდეგ ინგლისურის ცოდნას მნიშვნელობა საერთოდ აღარ ენიჭება და მთავარი ხდება მოსწავლის პიროვნული მახასიათებლები. რა თქმა უნდა, რაც უფრო კარგად იცის მოსწავლემ ენა, მით უკეთ შეუძლია საკუთარი აზრის გადმოცემა და ეს ეხმარება თემების და გასაუბრების დროს საკუთარი თავის წარმოსაჩენად. ყოველწლიურად გვყავს გამარჯვებულები, რომელთაც სპეციალური ენის კურსებზე ვაგზავნით სპეციალიზებულ ბანაკში, რათა ამერიკაში საცხოვრებლად უკეთესი ენის ცოდნით გაემგზავრონ და ამან ადაპტაციაში ხელი არ შეუშალოთ. ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ FLEX-ის პროგრამაში გასამარჯვებლად ინგლისურის ცოდნა გადამწყვეტი არ არის, მთავარია, მოსწავლის პიროვნული თვისებები.

– შეუძლიათ თუ არა პროგრამაში მონაწილეობა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლეებს და არის თუ არა ასეთი პირებისთვის განსხვავებული ასაკობრივი და სასკოლო კრიტერიუმები?

– საშუალო სკოლის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლეები ასევე მონაწილეობენ პროგრამაში. პროგრამის ფარგლებში, ყოველწლიურად, დაახლოებით, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე 10-15 მოსწავლე მიემგზავრება შტატებში. მაგალითად, შარშან FLEX-ის პროგრამით ასეთი 3 ქართველი მოსწავლე სწავლობდა შტატებში. ყოველწლიურად ვეძებთ შშმ მოსწავლეებს, რათა მათ შეძლონ პროგრამაში მონაწილეობა, მათთვის ასაკობრივი ბარიერი 14-17 წლის ჩათვლითაა. კონკურსის სხვა მოთხოვნები შშმ მოსწავლეთათვისაც იგივეა, მაგრამ მოსწავლის საჭიროებიდან გამომდინარე, ასევე, ვატარებთ სპეციალიზებულ ტესტებს და ხელს ვუწყობთ, რომ ტესტირება ადაპტურ გარემოში ჩატარდეს.

– პროგრამას ორგანიზებას საერთაშორისო განათლების ამერიკული საბჭოები უწევს, გვიამბეთ ამ ორგანიზაციის შესახებ...

– ორ ათეულ წელზე მეტია, რაც ჩვენი გაცვლითი პროგრამების განხორციელება დაიწყო საქართველოში და მას შემდეგ, საერთაშორისო განათლების ამერიკულმა საბჭოებმა სამართლიანად მოიპოვა საუკეთესო რეპუტაცია და, ქვეყნის მასშტაბით, უამრავ ადამიანს სთავაზობს სხვადასხვა შესაძლებლობებს. ამჟამად, ამერიკული საბჭოების საქართველოს ოფისი ადმინისტრირებას უწევს დიდი რაოდენობით საგანმანათლებლო და გაცვლით პროგრამებს ისევე, როგორც წერით და ინტერნეტ ტესტებს.

საერთაშორისო განათლების ამერიკული საბჭოები მხარს უჭერს მკვლევართა მუშაო-

განათლება უცხოეთში

ბას და საზღვარგარეთ სწავლებას საგანმანათლებლო პროგრამების მეშვეობით, რომლებიც მიზნად ისახავს ენის, კულტურის და რეგიონის შესწავლას. ჩვენ წვლილი შეგვაქვს ახალი განათლების შექმნაში, უფრო ფართო პროფესიული პერსპექტივების ჩამოყალიბებაში, პერსონალურ და ინტელექტუალურ ზრდაში საერთაშორისო ტრენინგებით, აკადემიური გაცვლითი პროგრამებით, ერთობლივი განათლების განვითარებით და საჯარო დიპლომატიით. ამერიკული საბჭოები ისწრაფვის, გააფართოოს დიალოგი სტუდენტებს, მკლევრებს, მასწავლებლებსა და პროფესიონალებს შორის სწავლების გასაუმჯობესებლად და ურთიერთპატივისცემის დანერგვისთვის იმ მრავალფეროვან თემსა და საზოგადოებაში, რომელშიც მსოფლიოს მასშტაბით ვმუშაობთ.

– ვინ აფინანსებს FLEX-ის პროგრამას?

– პროგრამას სრულად აფინანსებს ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტი და, უკვე 24 წელია, სკოლის მოსწავლეებს სთავაზობს ამ უნიკალურ შესაძლებლობას. პროგრამის ფარგლებში იფარება შემდეგი ხარჯები:

• მგზავრობის ორივე გზა (საკუთარი ქვეყნიდან შეერთებულ შტატებამდე და უკან);

• ყოველთვიური სტიპენდია, რომელიც ეხმარება სტუდენტს ჩაერთოს აქტივობებში ადგილობრივ დონეზე და, აგრეთვე, შეიძინოს საჭირო პირადი ნივთები;

• მასპინძელი ოჯახების მოძიების ხარჯები;

• ამერიკის საჯარო სკოლებში ჩარიცხვასთან დაკავშირებული ხარჯები;

• პროგრამის ტრენინგების ხარჯები, გაფრენის წინა და ჩამოსვლის შემდგომი ორიენტაციები;

• ადგილობრივ დონეზე ორგანიზებული პროგრამის აქტივობები;

• ჯანმრთელობის დაზღვევა (მანამდე არსებული დაავადებებისა და პროფილაქტიკური სტომატოლოგიური მომსახურების გამოკლებით).

– პროგრამის შესაძლო უარყოფითი მხარეები...

– პროგრამაში მონაწილეობის მსურველებმა უნდა გაითვალისწინონ პროგრამის უარყოფითი მხარეები, რომელიც შემდგომში მდგომარეობს:

• შესაძლოა პროგრამის მონაწილეებმა ეროვნულ/სასკოლო გამოცდებს ვერ ჩამოუსწრონ;

• შესაძლოა, დაბრუნების შემდეგ მოუწიოთ ჯარში სამსახური;

• შესაძლოა, არ ჩაეთვალოთ ამერიკაში გავლილი სასწავლო წელი (განათლების სამინისტროს და სკოლის ადმინისტრაციის პრერაგატივაა, ჩათვლის თუ არა);

• შესაძლოა, ვერ მიიღონ ოქროს მედალი, რომელსაც სკოლა გასცემს;

• აკადემიური პროგრამა, რომელიც ამერიკაში ისწავლება, განსხვავებულია ქართული სკოლების პროგრამისგან და შესაძლოა, ვერ ისწავლონ საქართველოში არსებული სტანდარტული საგნები.

– რა შეგიძლიათ გვითხრათ მასპინძელ ამერიკულ ოჯახებთან დაკავშირებით, რატომ აჰყავს მასპინძელ ოჯახს გაცვლითი სტუდენტი?

– მოგეხსენებათ, ამერიკა ძალიან დიდი ქვეყანაა, ბევრი მაცხოვრებელიც ჰყავს. სიმრავლის და მრავალფროვნების გამო, არ არსებობს სტანდარტული ამერიკული მასპინძელი ოჯახი ან სტანდარტული მიზეზი, თუ რატომ მასპინძლობენ ისინი გაცვლით სტუდენტებს. თუმცა, გამოცდილებიდან გამომდინარე, მიზეზები შესაძლოა დავყოთ შემდეგ კატეგორიებად:

• ზოგიერთმა მასპინძელმა ოჯახმა, შესაძლოა, გაცვლითი სტუდენტი იმისთვის აიყვანოს, რომ თავიანთი უმცროსი ან უფროსი შვილებისთვის კარგი მაგალითის მიმცემი ესაჭიროებათ, ვისთანაც დამეგობრდებიან;

• შესაძლოა, განსხვავებული კულტურის შესახებ ობიექტური ინფორმაციის მიღება სურთ;

• შესაძლოა, ასევე, თავიანთი შვილებისთვის და-ძმის ყოლის გამოცდილების მისაღებად;

• ზოგიერთ მასპინძელს კი, შესაძლოა გაუჩნდეს სურვილი, გამოხატოს დაინტერესება ოჯახის რომელიმე წევრის ღირებულებების მიმართ, რომელიც გატაცებულია კონკრეტული ქვეყნის კულტურის შესწავლით და იმ ქვეყნის გაცვლითი სტუდენტი აიყვანოს, რათა ეს კულტურა უფრო ახლოდან გაიცნონ;

• ზოგიერთმა კი შესაძლოა, სულაც იმიტომ აიყვანოს, რომ ამერიკული კულტურისა და წეს-ჩვეულებების გაზიარების სურვილი აქვს და მშობლიური მზრუნველობის გამოხატვა სურს სამაგალითო მოზარდების მიმართ, რადგან გაცვლითი სტუდენტები მართლაც ძალიან სამაგალითონი არიან.

მასპინძელი ოჯახის პორტრეტი კი, 24-წლიანი გამოცდილების ფონზე, შემდეგნაირად გამოიყურება: მასპინძელი მშობლების ასაკი, საშუალოდ, 35-50 წლებს შორის მერყეობს, მიუხედავად ამისა, ასაკი შესაძლოა ვარირებდეს 27-დან 60 წლამდე. როგორც წესი, ისინი მიეკუთვნებიან საშუალო ფენის წარმომადგენლებს. ოჯახში, სადაც ორივე მშობელია წარმოდგენილი, უმეტესწილად, ორივე მათგანი მუშაობს. ზოგიერთი მასპინძელი ოჯახი კი მხოლოდ ერთი მშობლითაა წარმოდგენილი. მასპინძელ ოჯახთა 25%-ს შეადგენს ისეთი ოჯახები, რომელთა შვილები უკვე გაიზარდნენ და დამოუკიდებლად, მშობლებისგან მოშორებით ცხოვრობენ ან არასდროს ჰყოლიათ საკუთარი შვილები.

მასპინძელ ოჯახთა 75%-ს ჰყავს შვილები, აქედან:

• 26%-ს – ერთი შვილი, რომლის ასაკიც 18 წელს ზემოთ არის;

• 39%-ს – 14-დან 17 წლამდე ასაკის ერთი ან მეტი შვილი;

• 22%-ს – 10-დან 13 წლამდე ასაკის ერთი ან მეტი შვილი;

• 13%-ს – ახალშობილი ან 10 წლამდე ასაკის.

– როგორია ქცევის წესები მასპინძელ ოჯახებში?

– მასპინძელ ოჯახებში გაცვლითი სტუდენტისგან მოელიან იმავე წესების დაცვას, რასაც ოჯახის სხვა წევრები იცავენ. გაცვლითი სტუდენტი არ მოიაზრება ოჯახის სტუმრად და მას შესაძლოა გარკვეული საყოფაცხოვრებო მოვალეობების შესრულებაც კი მოუწიოს. პროგრამის განმავლობაში, მონაწილეს ეკრძალება ალკოჰოლური და ნარკოტიკული საშუალებების მიღება (მათ შორის თამბაქოსი) და, თუკი ვინმე ამ წესს არღვევს, პროგრამა ძალიან მკაცრია და ასეთ მონაწილეს სტატუსი უწყდება. ამერიკის შეერთებულ შტატებში, პროგრამით გათვალისწინებულ ვადებში, მონაწილეს ეკრძალება ავტომობილისა და მოტოციკლეტის მართვა და მასპინძელი ოჯახები მისგან ამ წესების ზედმიწევნით დაცვას მოელიან.

– გაგვიზიარეთ FLEX-ის პროგრამის ფინალისტთა შთბეჭდილებები?

– *„FLEX-ის პროგრამის ფინალისტობა ისეთი დიდი პატივია, რომ ვერცერთი სიტყვა ვერ გადმოსცემს სრულად რამდენ რაღაცას იღებ მისგან: იცნობ ახალ ადამიანებს, იღებ ახალ ცოდნას, იუმჯობესებ შენს უნარებს და პოულობ შთაგონებას. ამასთან ერთად, ამერიკულ სკოლაში სიარული ცხოვრებისეული გამოცდილების შემცვლელი ხდება. მომეცა საშუალება ამერჩია საგნები, რომელიც მაინტერესებდა და შემესწავლა ისინი. შევუერთდი ცეკვის და მხარდამჭერთა გუნდს, ვმონაწილეობდი სკოლის ყველა აქტივობაში, გავხდი საგანმანათლებლო კლუბების წევრი, ვესწრებოდი ყველა ღონისძიებას, როგორიცაა Homecoming და PROM, ასევე, დამამთავრებელ ცერემონიას. ეს ყველაფერი კი, ერთად რომ შევკრიბოთ, ძალიან სასიამოვნო იყო. მადლობა მინდა გადავუხადო FLEX პროგრამას ჯადოსნური გამოცდილებისთვის.“* – **მარი ჯგუშია**, 2014 წლის ფინალისტი.

„2014 წლის 25 აპრილი არის დღე, როდესაც ჩემი ცხოვრება მთლიანად შეიცვალა. ამ დღეს შევიტყვე, რომ გავხდი FLEX-ის ფინალისტი. ვისკონსინის შტატის ქალაქ ფრიდომში გატარებული ერთი წელი სავსე იყო გამოწვევებით, ახალი ოჯახის შეძენით, რომელიც ჩემთვის ბევრს წარმოადგენს და ახალი მეგობრებით მთელი მსოფლიოდან. მსოფლიო და სიშორე უკვე აღარ მაშინებს. FLEX პროგრამამ მასწავლა, რომ ჩვენ ყველანი ადამიანები ვართ, მიუხედავად იმისა, თუ რა ენაზე ვსაუბრობთ ან როგორ გამოიყურება ჩვენი დამწერლობა. შემიძლია ვთქვა, რომ დიდი პატივია გაცვლითი სტუდენტის სახელის ტარება და ახლა უკვე FLEX კურსდამთავრებულისაც, რადგან ეს მართლაც ის პროგრამაა, რომელიც შენს ცხოვრებას ორ ნაწილად ყოფს – FLEX-ამდე და FLEX-ის შემდგომ. მადლობა მინდა გადავუხადო ამ პროგრამას ჩემი და ათასობით სხვა მოსწავლის ცხოვრების გაუმჯობესებისათვის და, თუკი შენც გაქვს შანსი გახდე FLEX-ის ოჯახის წევრი, გამოიყენე ეს შანსი! “ – **თიკო დავითაშვილი**, 2014 წლის FLEX პროგრამის ფინალისტი.

„ჩემთვის გამორჩეული და დასამახსოვრებელი გამოცდილება Drill Team იყო, რომლის საშუალებითაც შესაძლებლობა მომეცა, უკეთ გავცნობოდი ამერიკულ ცხოვრებას, შევიძინე ბევრი მეგობარი და დავეუფლე ჩემთვის ახალ სპორტის სახეობას.“ – **მარიამ ღლონტი**, FLEX პროგრამის 2014 წლის ფინალისტი.

მოამზადა მაკა ყიფშიანმა

ინფორმაცია

ოლიმპიადის გამარჯვებულები

საქართველოს ინფორმატიკის ეროვნული ნაკრების ანგარიშზე უკვე ექვსი მედალია – ჯერ ევროპის, შემდეგ კი ინფორმატიკის მსოფლიოს ოლიმპიადის, რომელზეც საქართველოს ნაკრებიდან ოთხი მოსწავლე ასპარეზობდა, სამმა საუკეთესო შედეგი აჩვენა და ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლები მოიპოვა.

გიორგი კლდიაშვილი, ინფორმატიკის მსოფლიო ოლიმპიადის გამარჯვებული: *„წელს ოლიმპიადაზე მართლაც რთული ამოცანები იყო და გაგვიჭირდა, მაგრამ მაინც მოვახერხეთ კარგი შედეგით დაბრუნება“.*

საქართველოს ნაკრებმა ევროპის ოლიმპიადაზეც სამი მედალი მოიპოვა – ერთი ვერცხლი და ორი ბრინჯაო.

ბაკურ ცუცხაშვილი, ინფორმატიკის ევროპის ოლიმპიადის გამარჯვებული: *„ჩვენს წარმატებას რაც შეეხება, სამი მედლის მოპოვება ნამდვილად მნიშვნელოვანი იყო. ვფიქრობ, ეს მედალი შეიძლება უნივერსიტეტში სწავლის გაგრძელებაში დამეხმაროს“.*

საქართველოს სახელით, ევროპის ოლიმპიადაზე ასპარეზობდნენ: დემირელის კოლეჯის მოსწავლეები **– გიორგი კლდიაშვილი, გიორგი სხირტლაძე, ნუგზარ ჩხაიძე** და ქუთაისის ფიზიკა-მათემატიკის საჯარო სკოლის მოსწავლე **ბაკურ ცუცხაშვილი.**

გიორგი მანდარია, საქართველოს ინფორმატიკის ნაკრების ხელმძღვანელი: *„იმისათვის, რომ მოსწავლემ გამარჯვება მოიპოვოს ამ დონის შეჯიბრებებზე, ძალიან საფუძვლიანი ცოდნა უნდა ჰქონდეს ალგორითმების თეორიაში და ასევე მაღალ დონეზე უნდა ფლობდეს დაპროგრამებას. ეს ცოდნა იმდენად დიდია და მასალა იმდენად რთული, რომ ამ ოლიმპიადების გამარჯვებულებს, პრაქტიკულად, სიამოვნებით ღებულობენ უცხოეთის წამყვანი უნივერსიტეტები.*

სხვადასხვა დროს, ინფორმატიკის ოლიმპიადაზე გამარჯვებული ნაკრების წევრები დღეს მსოფლიოს წამყვან კომპანიებში მუშაობენ. საქართველოს მასშტაბით, ინფორმატიკის ოლიმპიადები სწორედ მათი დაფინანსებით ტარდება. ჩვენ რომ მთელ საქართველოს ვფარავდეთ, დარწმუნებული ვარ, უამრავი ნიჭიერი ბავშვია და არჩევანიც მეტი იქნება და ნაკრების დონეც აიწევს, როცა კონკურენცია გაიზრდება. ახლა, დაახლოებით, 100-150 ბავშვი მონაწილეობს საწყის ეტაპზე“.



საქართველოს ეროვნული ნაკრები მსოფლიო ოლიმპიადაზე უკვე რამდენიმე წელია ასპარეზობს. ინფორმატიკის 26-ე საერთაშორისო ოლიმპიადა, რომელიც წელს ტაივანში ჩატარდა, საერთაშრისო დონეზე მიმდინარე ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული და მასშტაბური ოლიმპიადაა. მისი ძირითადი მიზანია ინფორმატიკის პოპულარიზაცია და ამ მიმართულებით მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებიდან ნიჭიერი მოსწავლეებისთვის სამეცნიერო და კულტურული გამოცდილების გაზიარების ხელშეწყობა.

ნაკრები გუნდის შემადგენლობაში იყვნენ: **ნიკოლოზ სვანიძე** – ოქროს მედალი (სსიპ – ვლადიმირ კომაროვის თბილისის ფიზიკა-მათემატიკის 199-ე საჯარო სკოლა); **გიორგი სხირტლაძე** – ბრინჯაოს მედალი (შპს – ჩაღლარის საგანმანათლებლო დაწესებულების დემირელის სახელობის კერძო კოლეჯი); **ელენე მაჩაიძე** – ბრინჯაოს მედალი (სსიპ – ვლადიმირ კომაროვის თბილისის ფიზიკა-მათემატიკის 199-ე საჯარო სკოლა); **ნიკა ნადირაძე** – (სსიპ – ვლადიმირ კომაროვის თბილისის ფიზიკა-მათემატიკის 199-ე საჯარო სკოლა).

საქართველოს ნაკრებ გუნდს ინფორმატიკის 26-ე საერთაშორისო ოლიმპიადაზე ხელმძღვანელობდნენ: **გიორგი მანდარია**, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, დოქტორი და **ზაზა გამეზარდაშვილი**, თავისუფალი უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი.

ხომერიკის საჭადრაკო დუბლი

აგვისტოში ჩეხეთის დედაქალაქმა პრაღამ ევროპის ასაკობრივ ჩემპიონატს უმასპინძლა ჭადრაკში, რომელშიც საქართველოდან, სხვადასხვა ასაკში, 24 მოჭადრაკე გამოდიოდა, თუმცა მედალი მხოლოდ ერთმა მოიპოვა. ოღონდ მედალსაც გააჩნია და, საბედნიეროდ, ჩვენი მონაგარი ოქროა, რომელიც 18-წლიანთა შორის **ნინო ხომერიკმა** მოიპოვა. აღსანიშნავია, რომ ის ზედიზედ მეორედ გახდა კონტინენტის ჩემპიონი ამ ასაკში, რაც მის წარმატებას კიდევ უფრო ფასეულს ხდის.

ხომერიკი რეიტინგით თუ შარშანდელი ტიტულით წლეულსაც ფავორიტთა შორის იყო და ეს იმიჯი სრულად გაამართლა – სტარტიდანვე მოყოლებული, სათავეში ედგა სატურნირო ცხრილს და ბოლომდე არ დაუთმია პოზიციები. მან უდანაკარგოდ გაიარა საწყისი სამი ტური, ხუთ ტურში კი მხოლოდ ნახევარი ქულა დაკარგა. საბოლოოდ, დაუმარცხებლად ჩაატარა შეჯიბრება და 9 შეხვედრიდან 6 მოიგო, 3 კი ფრედ დაასრულა. ქართველმა გოგომ 7.5 ქულა დააგროვა და 0.5-ით ჩამოიტოვა რუსი **ეკატერინა დიაკონოვა** და სლოვენიელი **ლაურა უნუკი**.

ამავე პერიოდში ინდოეთის ქალაქ ბაბუნეშვარში ჩატარდა მსოფლიოს ახალგაზრდული ჩემპიონატი 20-წლამდელ მოჭადრაკეთა შორის, რომელშიც საქართველოდან ბიჭებში **ირაკლი ბერაძე** გამოდიოდა, გოგონებში – **მარიამ ჭოლაძე**. სამწუხაროდ, ორივემ წარუმატებლად იასპარეზა და უმედლოდ დარჩნენ. ბერაძე, 7 ქულით, 29-ე ადგილზე გავიდა, ჭოლაძემ კი 5.5 ქულა დააგროვა და 43-ე აღმოჩნდა.

თსუ-მ ევროპაშიც გვასახელა

თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფუტზალის გუნდმა წარმატებით დაძლია უეფა-ს თასის პირველი საკვალიფიკაციო რაუნდი და ფინალურ ეტაპზე თამაშის უფლება მოიპოვა. შესარჩევი ტურნირს, აგვისტოს ბოლოს, ფინეთში, გაიმართა. კენჭისყრით თსუ F ჯგუფში მოხვდა, სადაც მათთან ერთად განთავსდნენ: შოტლანდიის „ვოტსელი“, მალტის „ვალეტა“ და ადგილობრივი „სიევა ფუტზალი“. ჩვენების მდგომარეობას უთუოდ ართულებდა ის გარემოება, რომ მასპინძლებიც მათთან ერთად მოხვდნენ, თუმცა, ამას საბოლოო წარმატებაში ხელი არ შეუშლია და მთელი ტურნირი დიდი აღმავლობით ჩაატარეს. პირველი მატჩი თსუ-მ „მამაცი გულების“ გუნდთან გამართა, თუმცა შოტლანდიელებს სულაც არ აღმოაჩნდათ მამაცი გული – ჩვენებმა 12:4 გაანადგურეს სქოთები. მორიგ შეხვედრაში მალტელებს უფრო მოკრძალებული კრახი აკმარეს – „მხოლოდ“ 6:0, აი, ბოლო თამაშში კი, რომელსაც ჯგუფის გამარჯვებული და ფინალურ ეტაპზე გამსვლელი უნდა გამოევლინა, მართლაც გაუჭირდათ მასპინძლებთან, თუმცა, „მამაცი გული“ გამოიჩინეს და „სიევას“ დაძაბულ, დრამატულ პაექრობაში 5:4 სძლიეს.

ამით თსუ ჯგუფში პირველ ადგილზე გავიდა და ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე თამაშის უფლება მოიპოვა, რომელიც, 11-16 ოქტომბერს, მაკედონიაში გაიმართება. იქ ჩვენების გარდა, მასპინძელი „ჟელეზნიჩარი“, აზერბაიჯანის „არაზნახიჩევანი“ და კოსოვოს „ფენიქსი“ იბრძოლებენ ელიტ-რაუნდში გასასვლელად.

ამ წარმატების აღსანიშნავად თბილისში დაბრუნებულ სტუდენტ ფეხბურთელებს თსუ-მ საზეიმო შეხვედრა მოუწყო, რომელსაც რექტორის მოვალეობის შემსრულებელი **დარეჯან თვალთვაძე** უძღვებოდა. ღონისძიებას სტუდენტები, პროფესორები, რექტორატის და ადმინისტრაციის წარმომადგენლები ესწრებოდნენ. თვალთვაძემ ფეხბურთელები სიგელებით დააჯილდოვა და მათ ფინალურ ეტაპზეც წარმატებით გამოსვლა უსურვა.

შტანგას პატარებიც ღონივრად ექაჩებიან

უფროსი ძალოსნების მსგავსად, რომლებმაც რიო დე ჟანეიროს ოლიმპიადაზე თითო ოქრო და ბრინჯაო მოიპოვეს, შტანგას ახალგაზრდა ქართველი ათლეტებიც წარმატებით ექაჩებიან. ნორჩმა ძალოსნებმა ესტაფეტა წარმატებით გადაიბარეს და, ამ დღეებში, ჩინებულად გამოდიან პოლონურ ნოვი ტომისლიში მიმდინარე ევროპის ჩემპიონატში, რომელიც 15 და 17-წლამდელთა შორის ტარდება. ორი დღის შემდეგ ჩვენს ნაკრებს უკვე 6 მედალი აქვს. მათ შორის – ორი ვერცხლი ორჭიდში, ანუ ევროპის ორი ვიცე-ჩემპიონი უკვე გვყავს.

ჩვენს ნაკრებს პირველი მედალი 17-წლიანთა ტურნირში **გურამ გიორბელიძემ** მოუტანა 56 კილოგრამში. ქართველმა მოზარდმა ექვსივე ცდა წარმატებით გამოიყენა და 92 აიტაცა, ხოლო 117 აჰკრა. პირველ მოძრაობაში მისი შედეგი მესამე აღმოჩნდა და ბრინჯაოს დაეუფლა, მეორეში კი ვერცხლი მოიპოვა. მან ორჭიდში 209 კილოგრამი დააგროვა, რაც ასევე მეორე შედეგი გამოდგა და ევროპის ვიცე-ჩემპიონიც გახდა.

ზურაბ ანთაურის შეგირდთაგან მორიგ წარმატებას, ამავე ასაკში, **ზურაბ მალაყმაძემ** მიაღწია 62 კილოგრამში, ვინც ასევე მედალი დაიმსახურა: პირველ მოძრაობაში ყველაზე მეტი აიტაცა და 110 კილოგრამით ოქრო მოიპოვა, აკვრაში კი 125-ით მესამე იყო. ორჭიდში მასაც ვერცხლი ერგო 235 კილოგრამით.

ევროპის ჩემპიონატში წარმატებით ჩაება საქართველოს ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელის, ოლიმპიურ ჩემპიონ **გიორგი ასანიძის** ვაჟი **კახი ასანიძე**, რომელმაც თავისი ჯგუფი მოიგო 220 კილოგრამით. ევროპის ჩემპიონატი გრძელდება და, იმედია, ჩვენები კიდევ მოიპოვებენ მედლებს.

ხიჯაკაძე – მსოფლიო ჩემპიონი

სექტემბრის დადგომისთანავე პორტუგალიის დედაქალაქ ლისაბონში დაიწყო მსოფლიო ჩემპიონატი ჭაბუკებს შორის თანამედროვე ხუთჭიდის ქვესახეობა ლაზერულ რბენაში, სადაც სპორტსმენები ერთმანეთს სირბილსა და სროლაში ეჯიბრებიან. პორტუგალიაში ჩვენგან ორი ხუთჭიდელი გამოდიოდა, თითო-თითო წარმომადგენელი ბიჭებსა და გოგონებში – **გაგა ხიჯაკაძე** და **ქრისტინე ჭიტაძე**. ამათგან უფრო წარმატებით ხიჯაკაძე გამოვიდა, ვინც 19-წლამდელთა შორის, სადაც გამარჯვებისთვის სხვადასხვა ქვეყნის 35 სპორტსმენი იბრძოდა, პირველობა არავის დაუთმო და მსოფლიო ჩემპიონი გახდა.

ჭიტაძე ჭაბუკებში გამოვიდა გოგონების ტურნირში და მეშვიდეზე გავიდა, რაც ურიგო შედეგი არაა. თუმცა მას მედლის მოპოვების გაცილებით რეალური შანსი მოგვიანებით მიეცა, როცა ხიჯაკაძესთან ერთად შერეულ წყვილებში გამოვიდა. ჩვენი დუეტი ახლოს იყო ბრინჯაოს მედალთან, თუმცა საბოლოო წარმატებამდე ცოტა დააკლდათ და მეოთხეზე დარჩნენ.

იმედია, ეს ახალგაზრდები ქართულ თანამედროვე ხუთჭიდს ძველ დიდებას დაუბრუნებენ, თორემ სპორტის ეს კომპლექსური და რაინდული სახეობა ლამის გაქრეს ქართული სპორტის რუკიდან.

გაცურავენ წყალბურთელები ევროპულ აუზს?

ქართული წყალბურთი სულ უფრო და უფრო იკრებს ძალას. ამის დასტურად ისიც გამოდგება, რომ უფროსთა კვალდაკვალ, ევროპის ჩემპიონატის ფინალური ეტაპის საგზური 19-წლამდელთა გუნდმაც მოიპოვა.

ეს ტურნირი ამ დღეებში მიმდინარეობს ჰოლანდიის ქალაქ ალფენ აან დენ რიინში. ჩვენებთან ერთად, ჯგუფში ხორვატია, აზერბაიჯანი და რუსეთი მოხვდნენ. ქართველებმა სასტარტო შეხვედრა ხორვატიასთან ჩაატარეს და 6:13 წააგეს. ამ წყვილში ფავორიტი ხორვატია იყო, რომელიც ჯგუფში გამარჯვების უმთავრესი კანდიდატიცაა და ასეთი შედეგი მოულოდნელი არაა. ჩვენებმა რეაბილიტაცია მეორე შეხვედრაში აზერბაიჯანთან შეძლეს, ვისაც დიდი ანგარიშით, 26:3 მოუგეს. საქართველოს ნაკრებმა დამაჯერებლად იმარჯვა ოთხივე პერიოდში: 5:0, 5:1, 6:1, 10:1. გამარჯვებულთა შორის ყველაზე შედეგიანი **ნიკა შუშიაშვილი** იყო, ვინც 6 გოლი გაუტანა მეტოქეს. მას თითო გოლით ჩამორჩნენ **ანდრია ბითაძე** და **გიორგი მაგრაქველიძე**, 4 გაიტანა **რევაზ იმნაიშვილმა**, 3 – **ვაჟა ფურცელაძემ**, **სანდრო ადეიშვილი**, **გიორგი მესხი** და **გიორგი წულუკიანი** კი გამარჯვების საქმეს თითო გოლით შეეწივნენ.

ახლა ჩვენებს გასამართი დარჩათ ჯგუფის ბოლო შეხვედრა რუსეთთან. დებულებით, ჯგუფის გამარჯვებულები მეოთხედფინალში ავტომატურად გადიან, დანარჩენები კი პლეი ოფში დაწყვილდებიან. ჩვენი ჯგუფის მეტოქე D ჯგუფის წარმომადგენლები იქნებიან, სადაც საბერძნეთი, უნგრეთი, ჩერნოგორია და მალტა მოხვდნენ. იმათგანაც პლეი ოფში მალტა თუ გვერგება, თორემ სხვებთან შანსი, ფაქტობრივად, არ გვაქვს.

რუბრიკა მოამზადა ირაკლი თავაძემ

თვალსაზრისი

მასწავლებელთა სასერტიფიკაციო გამოცდების გამოძახილი

არ იფიქროთ, გამოცდებზე წარუმატებლობის ტკივილი ან პირადი წყენა იყოს ამ წერილის დაწერის საფუძველი.

სასერტიფიკაციო გამოცდების პირველივე წელს მივიღე გამოწვევა და, საბედნიეროდ, საკმაოდ მაღალი ქულებიც დავიმსახურე. გასულ წელს კი დაწყებითი საფეხურის გამოცდაც (I-VI კლ.) წარმატებით ჩავაბარე და ამით, არ დაგიმალავთ, უდიდესი პროფესიული სიამოვნება დამეუფლა, საკუთარი შესაძლებლობების წარმოჩენამ ახალი ძალა და ენთუზიაზმი შემძინა, რაც ძალიან დამეხმარება ჩემი მოვალეობის კიდევ უფრო ხარისხიანად შესრულებაში.

ჩემმა სკოლამ – წმინდა ნინოს სახელობის ქუთაისის №3 საჯარომ, მასწავლებელთა სასერტიფიკაციო გამოცდების დაწყების პირველ წელსვე, რესპუბლიკაში ერთ-ერთი პირველი ადგილი დაიკავა შედეგების თვალსაზრისით, მაგრამ ერთეულების წარმატება საქმეს არ შველის... მასწავლებელთა მრავალათასიანი კორპუსი მორალურად განადგურებული და შერცხვენილია თავიანთი მოსწავლეების, მშობლებისა თუ, ზოგადად, საზოგადოების წინაშე. არადა, რა კარგად ბრძანა განათლების მინისტრმა, ბატონმა **ალექსანდრე ჯეჯელავამ**: *„როცა სასერტიფიკაციო გამოცდაზე 80% იჭრება, აქ პრობლემა თავად გამოცდების სტრუქტურაშია და არა მასწავლებლებში“.*

ეს სამართლიანი მინიშნება დარჩა „ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა“...

დღევანდელი საქართველოს სკოლებში რომ ამ გამოცდების ადეკვატური, ანუ ძალიან სუსტი მასწავლებლები მოღვაწეობდნენ, ეს პრობლემა სხვადასხვა სახით საზოგადოებაში გამოცდების გარეშეც მომწიფდებოდა... უბრალოდ, მშობლები არ მიანდობდნენ მათ თავიანთი შვილების აღზრდას.

ახლა ამდენი ჩაჭრილი მასწავლებელი, ისევ უხალისოდ, მორალურად განადგურებული, მიადგება თავიანთ სკოლებს, შეხვდება აღსაზრდელებს, განაგრძობს თავის საქმეს უხალისოდ, გარეგნული, მოსწავლეთათვის მარგი ნიღბით, ღიმილითა და ჩვეული მონდომებით, რადგან მათ ძალიან კარგად იციან, რომ მოსწავლეს, რომელიც წრფელი გულითა და ნათელი თვალებით გიცქერს, არ ეღალატება, მასწავლებელმა ხომ თავისი უარყოფითი ემოცია, დარდი თუ ფიქრი სკოლის კარებთან უნდა დატოვოს.

თუმცა, როცა წლების განმავლობაში რუდუნებით მომუშავე პროფესიონალ მასწავლებელს გამოცდის შედეგები ეუბნება, რომ „შენ არ ვარგხარ, ამიტომაც ჩაიჭერი“, ეს ტკივილი სკოლის ზღურბლთან ვერ დარჩება, უფრო მეტიც, შეიძლება ჯანმრთელობის დაკარგვისა და სიცოცხლის მოსპობის ფასადაც დაუჯდეს მას, ვისაც არაერთხელ გადაუტანია საქვეყნო თუ პირადი საარსებო კრიზისები და პროფესიული საქმისათვის არასოდეს უღალატნია.

ნებისმიერი პროფილის მასწავლებელთა სასერტიფიკაციო საგამოცდო ტესტებს რომ გადახედოთ, ძალიან მარტივად მიხვდებით, რომ არც ერთი საგნის სამუშაო მასალა მასწავლებლის საკეთილდღეოდ არაა შედგენილი. პირიქით, ცალსახად შეიძლება ითქვას, რომ ეს მასწავლებლისადმი არაპირდაპირი მტრობაა, მიმართული მისი ჩაჭრისა და სახლში შერცხვენილი გაშვებისაკენ.

უფრო კონკრეტულად რომ მივანიშნოთ ამ პრობლემაზე, დაწყებითი კლასის მასწავლებეთა საგამოცდო ტესტი გამოდგება ამის საილუსტრაციოდ.

სხვადასხვა ჯგუფი, გუნდურად, თვეების განმავლობაში მუშაობს (ქართულის, მათემატიკის, ბუნების, გეოგრაფიის და სხვ.), ადგენენ ათასი ლაბირინთით დახლართულ-დამძიმებულს ფიზიკით, ბიოლოგიით, გეოგრაფიით, დაწყებითი კლასების მასწავლებელთათვის ყოვლად არასაჭირო თავსატეხებს იმისათვის, რომ ეს გუნდურად მომზადებული თავსატეხები ერთმა საწყალმა მასწავლებელმა „დაძლიოს“.

რატომ?

ჩვენ ხომ გვასწავლეთ, დავალებები უნდა იყოს მოსწავლეთათვის დაძლევადი, დროის ლიმიტს მორგებული, ვალიდური.

ბედნიერი მოსწავლეები! ჩვენ პირნათლად ვასრულებთ ამ მოთხოვნებს, არ შევასრულებთ და, არავინ გვაპატიებს: არც მშობელი, არც ბავშვი, არც მონიტორინგის სამსახური.

ამ პრინციპით შედგენილი საგამოცდო დავალებები არც მასწავლებლებს აწყენდა...

ჩვენ ვინ გვიცავს ამ სასტიკი „საგამოცდო თავდასხმებისაგან?“

შევდივართ ამ ომში და იმ მებრძოლებს ვგავართ, რომელთაც ხელში შეაჩეჩეს იარაღი, რომლის მოხმარება მეომრებს შორის არავინ იცის, თუმცა, ძალიან უნდათ გამარჯვება, გული ერჩით წარმატებისაკენ.

ოპონენტი მეტყვის: მასწავლებელთა ტრენინგები მათ წარმატებებსა და ცოდნით აღჭურვას ემსახურებაო.

დავიჯეროთ?

მაშინ სადაა შედეგი?

ეს ტრენინგებიც წყალში გადაყრილ ფულსა და უქმად დახარჯულ დროს ჰგავს. ალბათ, არაა შესაბამისობა საჭირო სატრენინგო მასალასა და საჭიროებას შორის.

ისევ ბატონი ალექსანდრე ჯეჯელავას ქუთაისში მასწავლებელთა შეკრებაზე ნათქვამს გავიხსენებ: *„ჩემს გონებაში რამდენიმესართულიანი პირამიდაა, რომლის წვეროზე არის მოსწავლე და შემდგომ საფეხურზე – მასწავლებელი“.* მერე სხვა საფეხურებზეც მიგვანიშნა. ბატონმა მინისტრმა საოცარი კომუნიკაბელურობა გამოამჟღავნა. კითხვების დასმის გარეშე თავად შეეხო ყველა პრობლემას, რომელიც დღეს მასწავლებელთა მრავალათასიან არმიას აწუხებს, ყველა პრობლემაზე სწორედ მასწავლებლებისათვის მისაღები, სასიამოვნო, ემპათიური განწყობა გამოამჟღავნა, რითაც ძალიან მოიგო ასეულობით მასწავლებლის გული. ყველაფერთან ერთად, მეტად საგულისხმო რამ ბრძანა: *„მოსწავლეებს სკოლაში მოსვლა უნდა უხაროდეთ, მაშინ შეასრულებს სკოლა თავის ფუნქციას“.*

სრული ჭეშმარიტებაა!

ვფიქრობთ, საქმე უკეთესად იქნება, თუ გამოცდის ლაბირინთებში ნაბრძოლი მასწავლებელი, დამარცხებული და შერცხვენილი არ შევა თვალხატულა გოგო-ბიჭებთან, თუ ათასი უაზრო „ქაღალდმანიით“ დაღლილებს დარჩებათ დრო პროფესიული სრულყოფისათვის.

მასწავლებელი ენციკლოპედიურ განათლებას ტვინში ვერ დაიტევს. საჭირო შემთხვევაში ყველა ენციკლოპედიას თუ ინტერნეტრესურსს გამოიყენებს იმისათვის, რომ პირნათელი შევიდეს კლასში თავისი მოსწავლეების წინაშე.

ნუ დატანჯავთ რუდუნებით მოღვაწე მრავალათასიან მასწავლებელთა არმიას ამ „კოშმარული“ გამოცდებით, საყვარელ საქმეს ნუ შეაძულებთ, ნუ შეარცხვენთ, ნუ დაამცირებთ მოსწავლეთა და საზოგადოების თვალში. თუ მოსწავლეებთან ზრდასრული პიროვნებისათვის შესაფერი მიდგომებით ვმუშაობთ, მასწავლებლის პრესტიჟსაც მოვუფრთხილდეთ, თორემ სასურველი შედეგი არ დადგება.

მოსწავლე, მშობელი, საზოგადოება, განათლების სამინისტრო – ერთ სიბრტყეზე მოღვაწე, ერთი მიზნისკენ მიმართული ფასეულობათა შემქმნელი ერთობაა, რომელთა შორის ღირსებაწართმეული მასწავლებელი ცუდად გამოიყურება, ამიტომაც საშური საქმეა ახალი მიდგომების მოძიება ამ პრობლემის დროულად მოსაგვარებლად. უმორჩილესად გთხოვთ:

ნუ წაგვართმევთ ღირსებას!

მარინე არაბიძე-აშვეთია
სსიპ წმინდა ნინოს სახელობის ქუთაისის №3 საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი

ინფორმაცია

წიგნი რომ მხოლოდ რელიქვიად არ იქცეს

პრიორიტეტული გამჭოლი კომპეტენციებიდან წიგნიერება ერთ-ერთი პირველია. მართალია, დღეს ტექნოლოგიების საუკუნეში ვცხოვრობთ, წიგნი ელექტრონულმა წიგნებმა ჩაანაცვლა, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ჩვეულებრივი წიგნი უარვყოთ და თაროზე შემოდებულ რელიქვიად ვაქციოთ. წიგნი ნებისმიერი სახით უნდა იყოს ადამიანის განუყრელი მეგობარი ნებისმიერ ასაკში. სწორედ ამიტომ ჩავთვალე საჭიროდ ჩვენს სკოლაში ბიბლიოთეკა შემექმნა. იდეა ჯერ ბავშვებს გავაცანი და მეტი ინტერესი რომ ჰქონოდათ, ვთხოვე, ერთად შეგვეგროვებინა მასალა, ერთად გვეკეთებინა საქმე. როგორც კი მათი აციმციმებული თვალებით დასტური მივიღე, დირექტორს მოვახსენე და სრული თანხმობით მოტივირებულმა სოფელში მასალის მოძიება დავიწყე. უნდა ითქვას, რომ სიხარულით ხვდებოდნენ ამ ინიციატივას. თაროების გაკეთება სპორტის მასწავლებელმა და სკოლის მძღოლმა ითავეს. საღებავები სკოლის ჟურნალიდან შემოსული თანხით უნდა შეგვეძინა. მეშვიდეკლასელმა **ლუკა კვირიკაძემ** კი ბურთისთვის შეგროვილი თანხა, ბიჭებთან მიღებული გადაწყვეტილების შემდეგ, გადმომცა: – მასწავლებელო, ესეც გამოიყენეთ ბიბლიოთეკისთვისო! – ნამდვილად დიდსულოვანი გადაწყვეტილება იყო, რადგან ჩემს ბიჭებს ბურთის თამაში ყველაფერს ურჩევნიათ!

ბიბლიოთეკა კი მზადდებოდა, მაგრამ მთავარი ხომ წიგნებია! სოცქსელში გამოვაცხადე ჩემი ჩანაფიქრის შესახებ, უამრავი გამოხმაურება მოჰყვა, ნაცნობები თუ უცნობები მთავაზობდნენ დახმარებას, მოუწოდებდნენ ყველას, დახმარებოდნენ სოფლის სკოლას და შედეგმაც არ დააყოვნა! გამოჩნდნენ პირველი მერცხლები, რომლებმაც სიამოვნებით გაიღეს შემოწირულობა. წიგნები შეიძინა სკოლამაც. წერილით მივმართე საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორს **გიორგი კეკელიძეს**, რომელიც მაშინვე გამომეხმაურა და წიგნების ადგილზე ამოტანას დამპირდა.

ბიბლიოთეკის დასრულება სექტემბრისთვის მქონდა დაგეგმილი, რომ ეროვნული ბიბლიოთეკიდან ზარი შემოვიდა ორ დღეში წიგნებით ამოვდივართო. სასწრაფოდ დავრაზმე სკოლის და სოფლის აქტივი და ორ დღეში ბიბლიოთეკის ოთახი მზად იყო სტუმრების მისაღებად.

და ჩვენი სკოლის ისტორიაში კიდევ ერთი ლამაზი ფურცელი ჩაიწერა 2016 წლის 25 მაისს – ეროვნულმა ბიბლიოთეკამ უზომოდ გაგავახარა ერთი პატარა სოფლის, პატარა სკოლის კოლექტივი და ბავშვები. გიორგი კეკელიძის სტუმრობა და გაცნობა ნამდვილად დღესასწაული იყო ჩვენთვის. გიორგისთან შეხვედრამ კიდევ ერთხელ დამარწმუნა, რომ ადამიანი უბრალოდ ადამიანი უნდა იყოს, რეგალია და სტატუსი არაა მთავარი! მადლობა გიორგის ყურადღებისთვის, მადლობა ეროვნული ბიბლიოთეკის თანამშრომლებს იმ სიხარულისთვის, რომელიც გვარგუნეს!

ამ დღეს კიდევ ერთი სიურპრიზი და დიდი საჩუქარი გველოდა! ჩვენი სკოლის კურსდამთავრებულის, ან გარდაცვლილი **ვეფხვია ჭკადუას** მეუღლემ, **ცირა გულუამ**, რომელიც თავადაც პედაგოგია ახალაბასთუმნის საჯარო სკოლაში და, ამავე დროს, სპმთპ-ის ზუგდიდის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარეა, ოჯახის გადაწყვეტილებით, მეუღლის ხსოვნის საპატივცემულოდ, სკოლას „ქართული პროზის“ სრული სერია და მეუღლის საყვარელი პოეტის, შოთა ნიშნიანიძის კრებული უსახსოვრა.

კვლავ ველოდებით შემოწირულობას. მანამდე კი ბიბლიოთეკის ამჟამინდელი „ბინადარნი“ მოუთმენლად ელიან პატარებს, რომლებსაც სექტემბერში სასიამოვნო სიახლე დახვდებათ!

ლალი მარგიანი
ლახამულის საჯარო სკოლა

ახალ სასწავლო წელს 53 540 პირველკლასელი იზეიმებს

გაცნობის დღე

ნიუტონის თავისუფალი სკოლა

საერთაშორისო კონფერენცია

გამარჯვებული გარემოსდამცველი მოსწავლეები

გერმანიის დედაქალაქ ბერლინში 4-5 აპრილს გამართულ გარემოსდაცვის მეორე ახალგაზრდულ კონფერენციაზე „Umwelt macht Schule“ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ახალსოფლის საჯარო სკოლამ გაიმარჯვა. კონფერენცია გოეთეს ინსტიტუტის მიერ იყო ორგანიზებული. ახალსოფლის საჯარო სკოლამ გამარჯვება ყოფილი საბჭოთა კავშირისა და აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოთა 16 საჯარო სკოლას შორის მოიპოვა, აღნიშნული 16 სკოლა კი 221 სკოლას შორის იქნა შერჩეული.

ახალსოფლის საჯარო სკოლის გუნდს წარმოადგენდნენ: ჯგუფის ხელმძღვანელი, გერმანული ენის პედაგოგი **ციცინო ქობალია**, სამოქალაქო განათლების პედაგოგი **ქეთევან კიტია**, მოსწავლეები: **მარიამ ჯოჯუა**, **მარიამ შეროზია** და **თამთა ჯოჯუა**.

გოეთეს ინსტიტუტის ზემოაღნიშნული კონფერენცია მიეძღვნა მწვანე მოძრაობისა და გარემოსდაცვითი ღონისძიებების მხარდაჭერა-პოპულარიზაციას, რა თქმა უნდა, საგანთა ინტეგრირებით, მოსწავლეთა დაინტერესებას გერმანული ენით და სწავლების გაუმჯობესებას.

კონფერენცია მიმდინარეობდა ორ ეტაპად: პირველი ეტაპი პროექტზე შექმნილი პლაკატების პრეზენტაციას მოიცავდა. პლაკატზე პროექტის მთლიანი შინაარსი უნდა ასახულიყო და ვიზუალურად მიმზიდველი უნდა ყოფილიყო, ყველა შეკითხვაზე ამომწურავი პასუხი უნდა გაგვეცა. ჩვენ მიერ წარმოდგენილი პლაკატით თითქმის ყველა მონაწილე დაინტერესდა და შესაბამისად უამრავი კითხვაც დაგვისვეს. მეორე ეტაპი კი პროექტების პრეზენტაციას დაეთმო. ორივე ეტაპზე გამარჯვებული გუნდი უნდა გამოევლინათ. აღმოჩნდა, რომ პირველი ეტაპის გამარჯვება ერთხმად მიანიჭეს ახალსოფლის საჯარო სკოლას. კონფერენციის მონაწილე მოსწავლეებს ჩაუტარდათ, ასევე, მასტერ კლასები სხვადასხვა თემებზე, სადაც აქტიური მონაწილეობა მიიღეს ჩვენმა მოსწავლეებმა და შთაბეჭდილებები მასწავლებლებსა და მოსწავლეებს გაუზიარეს.

ახალსოფლის საჯარო სკოლის მიერ წარდეგნილი იყო პროექტი, რომელიც მიზნად ისახავს სკოლის მიმდებარედ გამდინარე წყაროს წყლის ეფექტურ გამოყენებას. სოფელში გავრცელებული იყო მოსაზრება, რომ წყალი სამკურნალო თვისებებისაა, თუმცა, ჩატარებულმა ლაბორატორიულმა კვლევებმა უჩვენა, რომ იგი ჩვეულებრივი არტეზიული წყალია.

საბჭოთა პერიოდში ახალსოფლის საჯარო სკოლაში ფუნქციონირებდა საცურაო აუზი, რომელიც მარაგდებოდა აღნიშნული წყაროს წყლით, სადაც პერიოდულად ტარდებოდა შეჯიბრებები როგორც რაიონის, ასევე ქვეყნის მასშტაბით. 90-იანი წლებიდან აუზს ფუნქცია აქვს დაკარგული. სკოლაში მიაჩნიათ, რომ შესაბამისი ფინანსური რესურსების მოძიების შემთხვევაში შესაძლებელია, აუზი შეივსოს წყაროს გამდინარე წყლით, რაც მას პირვანდელ ფუნქციას დაუბრუნებს, ხელს შეუწყობს მოსწავლეთა შორის ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზებას. უნდა აღინიშნოს, რომ ეს ზუგდიდის მუნიციპალიტეტში ერთადერთი საცურაო აუზი იქნება, რომელიც ხელსაყრელია არა მარტო ახალსოფლის საჯარო სკოლისთვის, არამედ ახლომდებარე ოთხი საჯარო სკოლისთვის. მოზარდებში ხშირია ხერხემლის სხვადასხვა დაავადებები, ცურვა კი საუკეთესო თერაპიაა. ასევე აუზი (საჭიროების შემთხვევაში) შეიძლება გამოიყენონ სახანძრო რაზმებმაც, რომლებიც წყლის მარაგს ძირითადად მდინარეებიდან იღებენ, რაც განსაკუთრებულად რთულდება ზაფხულში, გვალვისას.

პროექტის ფარგლებში, სკოლის მოსწავლეთა, მასწავლებელთა და მშობელთა მიერ, დასუფთავდა წყაროს მიმდებარე ტერიტორია, დამონტაჟდა სანაგვე ურნები და მოეწყო მოსასვენებელი „ბუნგალოც“. თუმცა გამომდინარე იქიდან, რომ წყალი კალაპოტში არ მიედინება, მიმდებარე ტერიტორიას აჭაობებს, ამიტომ წყაროს წყლის ეფექტური გამოყენება, ამ წყლით აუზის შევსება, ასევე მისი სკოლაში სანიტარული მიზნებით გამოყენება შესაძლებელია.

https://www.goethe.de/de/uun/akt/20731516.html
https://www.facebook.com/goetheinstitut.georgien/posts/1204527432921526

ახალსოფლის საჯარო სკოლა ასევე წარმატებით მონაწილეობდა გოეთეს ინსტიტუტის მიერ განხორციელებულ პროექტში „გაერთიანდეთ მდგრადი მომავლისთვის“ (პროექტის ხელმძღვანელები – **გვანცა ხინთიბიძე** და **აიკე პოკრანტი**. პროექტის პირველი ეტაპი ორიენტირებული იყო გერმანული ენის მასწავლებელთა გადამზადებაზე კვარიათში. მასწავლებელთა საზაფხულო ბანაკის დროს შემუშვებულ იქნა გერმანული ენის გაკვეთილზე მდგრადი განათლების დანერგვის სტრატეგიები. სემინარს თემაზე „ქმედებაზე ორიენტირებული პროექტის სწავლება“ **ფატი რამიშვილი** კურირებდა. ვენის სოფლის მეურნეობისა და პედაგოგიკის ინსტიტუტის პროფესორი, ბატონი **ვილჰელმ ლინდერი** ხელმძღვანელობდა ჯგუფს „მდგრადობა“ და ამასთან დაკავშირებით არაერთი კოლექტიური გასვლა მოაწყო სანაპიროზე, მთებსა და ბოტანიკურ ბაღში.

შემდგომი ეტაპი ორიენტირებული იყო მოსწავლეებზე, რომლებსაც პედაგოგების ხელმძღვანელობით უნდა მოეძიათ პროექტის განხორციელების შესაძლებლობები. ჩვენი სკოლის პროექტად შერჩეულ იქნა წყაროს წყლის გამოკვლევა. დახმარება გაგვიწიეს გოეთეს ინსტიტუტმა და ვენის სოფლის მეურნეობისა და პედაგოგიკის ინსტიტუტის სტუდენტმა **ბერნდ ჰოსტიცკიმ**. პროექტს ხელმძღვანელობდნენ: გერმანული ენის მასწავლებელი **ციცინო ქობალია**, ბიოლოგიის მასწავლებელი **შორენა კვარაცხელია** და სამოქალაქო განათლების მასწავლებელი **ქეთევან კიტია**. დასკვნით ეტაპზე პროექტი წარმატებული აღმოჩნდა. სკოლაში გერმანული ენის უკეთ სწავლების მიზნით ტარდება ინტეგრირებული გაკვეთილები სხვადასხვა საგნებთან, რაც ხელს უწობს მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლებას. ერთ-ერთი ასეთი წარმატებული გაკვეთილი იყო „მუსიკა გერმანული ენის გაკვეთილზე“, რომელიც როგორც პროექტ გაკვეთილი, ორ ნაწილად ჩატარდა 2016 წლის მაის-ივნისის თვეში: პირველი ნაწილი – მეხუთე-მეექვსე კლასებში, სადაც მოსწავლეებმა სიმღერით შეისწავლეს პროგრამით გათვალისწინებული თემები – მისალმება, ალფავიტი, დათვლა, წელიწადის დროები, კვირის დღეები, ფერები და სხვ. ასევე სიმღერით შეასრულეს ზღაპარი „ბრემენელი მუსიკოსები“. მერვე-მეათე კლასებში ჩატარებული გაკვეთილი კი მოიცავდა ვენის კლასიკოსებსა და ზაქარია ფალიაშვილის შემოქმედებას. მოსწავლეებმა მოიძიეს მასალები მოცარტის, ჰაიდნის, ბეთჰოვენის ცხოვრებიდან, თარგმნეს ქართულად, მოისმინეს „მთვარის სონატა“, „ხარის მენუეტი“, „გამოსამშვიდობებელი სიმფონია“, შეასრულეს გერმანული სიმღერები, მოამზადეს კედლის გაზეთები ფალიაშვილის, მოცარტის, ბეთჰოვენისა და ჰაიდნის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე, ასევე შექმნეს ვიდეო კოლაჟი. შეადგინეს მინი-ლექსიკონი, გაიმდიდრეს ლექსიკური მარაგი. ყოველივე ამან ხელი შეუწყო მოსწავლეთა და მშობელთა დაინტერესებას გერმანული ენით.

მაია ცაავა
ზუგდიდის მუნიციპალიტეტის
ახალსოფლის საჯარო სკოლის დირექტორი

ახალი განათლება

მთავარი რედაქტორი:
მარიკა ჩიქოვანი

მისამართი: 0102 თბილისი, ტეტელაშვილის ქ. №3
ტელ.: 032 295 80 23, 599 880073
www.axaliganatleba.ge axaliganatleba@gmail.com

რედაქციის საბანკო რეკვიზიტები: შპს „ახალი განათლება“ ს/კ 202058735
ა/ა GE86BG0000000123631000GEL, ს.ს. „საქართველოს ბანკი“ ბ/კ BAGAGE22,

რედაქციაში შემოსული ხელნაწერები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ.

ISSN 2233-386X
9 772233 386008 >